ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba

გვ.3



**გიორგი მარგველაშვილი:** „მე ვაკონტროლებ სტრასბურის სასამართლოს და ნიუ იორკის ბირჟას“

12 აპრილიდან
ლიონ ფოიხტვანგერი
**გოია**
ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 24-ე
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ხუთშაბათი, 13 აპრილი, 2017 №87 (7322) ფასი: 50 თეთრი

# ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილმა კალაძეს ნარმანია აჯობინა“



გვ.3







„დავით ნარმანია ამ თემაზე უკვე ღიად საუბრობს როგორც საკრებულოს, ასევე პარლამენტის წევრებთან. მას დიდი იმედი აქვს, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ისევ ის იქნება. როგორც თავად ამბობს, ეს საკითხი სადღაც 20 მაისისთვის გადაწყდება“



## გადავალეწავთ პარლამენტის საქმებს!

გვ.5

ვის და რატომ ემუქრება სანდრო ბრეგაძე



გვ.2

## ლევან ბერძენიშვილი: „ახალი კონსტიტუცია უვარგისია“

„თეორიულად შესაძლებელია, რომ მხოლოდ ერთი პარტია მოხვდეს პარლამენტში“

## ადვოკატები: „თემურ ბასილიას მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი გადაიხედება“

გვ.5



## ანზორ აბრალავა: „ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტის, ძლიერი პრემიერისა და ძლიერი პარლამენტის დაბალანსებული ინსტიტუტები“

გვ.4



ISSN 1987-9385

## რატომ ვერ აკონტროლებენ მიწისქვეშა გადასასვლელებს

გვ.2

# ლევან ბერძენიშვილი: „ახალი კონსტიტუცია უვარგისია“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციის ახალი რედაქციის სამუშაო ვარიანტს აფასებს.



***– ბატონო ლევან, საკონსტიტუციო ცვლილებების პირველადი ვარიანტი უკვე ცნობილია. როგორია თქვენი პოზიცია? ამ ვარიანტის მიხედვით, პრეზიდენტი პირდაპირი წესით არ ირჩევა და მას ამრჩევთა კოლეგია აირჩევს.***

– საპარლამენტო რესპუბლიკაში შეიძლება ამომრჩეველთა კოლეგია ან პარლამენტი ირჩევდეს პრეზიდენტს, როგორც ეს ბევრ საპარლამენტო ქვეყანაში ხდება. თუმცა, ეს ხდება იმ ქვეყნებში, სადაც გარანტირებული არის კანონითა და კონსტიტუციით მრავალპარტიული სისტემა. ჩვენთან, სწორედ იმის გამო, რომ საარჩევნო სისტემა ისე არის მოწყობილი, რომ მრავალპარტიულობა არ არის ხელშეწყობილი, მიუღებელია პრეზიდენტის არჩევა ანუ დანიშვნა ერთპარტიული ან ორპარტიული პარლამენტის მიერ.

სწორედ აქედან გამომდინარე არ ვართ ჩვენ თანახმა, რომ იყოს მრავალპარტიული სისტემის გარანტიები, მაშინ შეიძლებოდა ამ საკითხის განხილვა.

***– მაჟორიტარული არჩევნები უქმდება და პროპორციულ არჩევნებზე გადავდივართ. თუმცა, პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს გადაუნაწილებელი მანდატები, რასაც ოპოზიცია აპროტესტებს. ეს ვარიანტი რამდენად არის თქვენთვის მისაღები?***

– პირველი ნაბიჯი სწორად არის გადადგმული, ვგულისხმობ მაჟორიტარულ არჩევნებს, რომელზეც უარს ვამბობთ. ჩვენ შემთხვევაში ეს იყო უმახინჯესი მოვლენა. რაც შეეხება შემოთავაზებულ ვარიანტს: პროპორციულ არჩევნებზე კი გადავდივართ, მაგრამ ეს არ არის რეგიონულპროპორციული. ვინაიდან მაჟორიტარებზე უარს ვამბობთ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რეგიონის ინტერესებზე უარს ვამბობთ. რეგიონის ინტერესები ვიღაცას უნდა დაეცვა. რეგიონული სიები უნდა ყოფილიყო, რაც არ არის და ეს არის ნაკლი. მეორე ნაკლი კი არის ის, რომ ვინაიდან პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს ყველა გაუნაწილებელი მანდატი, ეს შეიცავს თეორიულ საფრთხეს.

***– რა საფრთხეს?***

– თეორიულად შესაძლებელია, რომ მხოლოდ ერთი პარტია მოხვდეს პარლამენტში. მაგალითად, მხოლოდ ერთმა პარტიამ გადალახოს 5% ბარიერი და დანარჩენი პარტიები ბარიერს მიღმა აღმოჩნდნენ, მაშინ იმ გადაუნაწილებელ მანდატებს ბარიერგადალახული ის ერთი პარტია წაიღებს. ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი, ასეთი რამ ევროპის პოლიტიკის ისტორიაში არ მომხდარა.

აქვე უნდა აღვნიშნო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – საარჩევნო ბარიერი ძალიან მაღალია და პარტიებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ საარჩევნო ბლოკი შექმნან. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისკენ მივდივართ. ერთპარტიული სისტემა არის საბჭოთა კავშირი. ამ თვალსაზრისით ეს კონსტიტუცია ათასჯერ უარესი იქნება, ვიდრე წინა იყო.

ყველა ხელისუფლება კონსტიტუციას ცვლიდა იმისთვის, რომ როგორმე გარანტია ჰქონოდა, რომ ხელისუფლებაში ის იქნებოდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარაა, რომ ხელისუფლება არ არის მიმართული სახალხო ინტერესისკენ. მიმართული არის „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ინტერესებისკენ. შესაბამისად, წარმოდგენილი ვარიანტი არის წვრილმანი კონსტიტუცია. ისეთი საკითხებიც კი შეიტანეს, რომლებიც კონსტიტუციას არ უნდა ეხებოდეს და ცალკე კანონებით წესრიგდება.

***– მაგალითად, ოჯახის დეფინიცია?***

– არა, ოჯახის დეფინიცია ცალკე ამბავია. ევროპის სტრუქტურებმა ხელისუფლებას უთხრეს, რომ ეს საკითხი კონსტიტუციაში არ უნდა შეიტანონ. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ეს პირდაპირ ადამიანის უფლებების წინააღმდეგ არის მიმართული. ასეთი რამ კონსტიტუციაში რომ იწერება, ეს სამარცხვინოა. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

რაზეც მე გესაუბრებოდით, ეს ეხებოდა იმას, რომ, მაგალითად, კონსტიტუციაში წერენ, პატიმარს არ აქვს უფლება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ეს არ არის საკონსტიტუციო საკითხი. ჩანს, რომ კონსტიტუციონალისტები ისეთი ჰყავთ, რომლებიც აზრზე არ არიან, რას აკეთებენ. ძალიან ცუდი ნამუშევარია, კონსტიტუციაში ყველაფერი მიჭრილ-მოჭრილი არის და ყველა მუხლი შეცვლილია. ფუნდამენტურად არის ახალი კონსტიტუცია დაწერილი, რომელიც უვარგისია, ეს საქართველოს არ გამოადგება და მოგვიწევს კიდევ ახალი კონსტიტუციის დაწერა.

***– საკონსტიტუციო კომისიაში არის თქვენი პარტიის დიდი ხნის ყოფილი წევრი ვახტანგ ხმალაძე, კომისიის წევრების ნაწილი აცხადებს, რომ სწორედ ბატონი ვახტანგის ინიციატივები გადის ძირითადად. მაგალითად, პრეზიდენტის არჩევის წესი.***

– დიახ, მაგრამ ბატონი ვახტანგი არ ამბობს, რომ არჩევნებში პირველ ადგილზე გასულ პარტიას უნდა მიჰქონდეს გაუნაწილებელი მანდატები. ის არ ეთანხმება იმ საარჩევნო სისტემას, რომელიც შემოთავაზებულია. რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, მე გითხარით, რომ ეს სისტემა შეიძლება იყოს, თუ მრავალპარტიული პარლამენტის გარანტია იქნებოდა. ხმალაძე არაფერ შუაშია, მას არ მოუფიქრებია, რომ ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტში 150-ვე ხმა უნდა წაიღოს.

***– ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ გადაუნაწილებელი მანდატები პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის მცირე ბონუსი იქნება.***

– რას ნიშნავს „მცირე ბონუსი“?! მხოლოდ ერთმა პარტიამ რომ გადალახოს ბარიერი და ეს „მცირე ბონუსი“ 50 მანდატი რომ იყოს?! ირაკლი კობახიძე ვის მოატყუებს, ამაზე არ არის აქ საუბარი. პატიოსნად განაწილდეს ყველა გამარჯვებულზე ეს მცირე ბონუსი, როგორც ვახტანგ ხმალაძემ და სხვებმა შესთავაზეს.

***– ბატონო ლევან, საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ხართ?***

– რა თქმა უნდა, საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ, მაგრამ ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი. საქართველო რა ხანია, საპარლამენტო რესპუბლიკა არის, მაგრამ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეობა არ ნიშნავს ერთპარტიულობის მომხრეობას. ეს არ ნიშნავს საბჭოთა კავშირს. საპარლამენტო რესპუბლიკა არ ნიშნავს, რომ ამ პარლამენტში ერთი პარტია იქნება წარმოდგენილი. ჩვენ მომხრე ვართ მრავალპარტიული, პლურალისტური საპარლამენტო რესპუბლიკის.

# რატომ ვერ აკონტროლებენ მიწისქვეშა გადასასვლელებს

თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებში წლების განმავლობაში არსებული აუტანელი სიტუაცია ბოლო ხანებში თითქოს გაუმჯობესდა, თუმცა ზოგიერთი გადასასვლელი კვლავ მოუვლელი და დაუსუფთავებელია.



განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა გმირთა მოედანზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, რაც შეეხება სკვერებსა და პარკებს, იქ ისევ შეხვდებით ბალახზე მიმოფანტული სიგარეტის ნამწვავებს, პოლიეთილენის პარკებს თუ სხვა სახის ნარჩენებს.

როგორც თბილისის დასუფთავების სამსახურში აცხადებენ, 22 მიწისქვეშა გადასავლელს „თბილსერვის ჯგუფი“ უვლის, დანარჩენი კი – კერძო ფირმების მფლობელობაშია. წინა ხელისუფლების დროს ათეულობით პარკი, სკვერი და მიწისქვეშა გადასასვლელი გადასცეს კერძო კომპანიებს. ზოგიერთი მათგანი გაყიდულია, ხოლო ნაწილი იჯარით არის გაცემული.

გაცილებით რთული სიტუაციაა სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობის მხრივ: როგორც შპს „გრინსერვისის“ დირექტორმა – კობა ხარშილაძემ გვითხრა, მათ მფლობელობაში არსებული ბაღების და სკვერების დასუფთავება „თბილსერვის ჯგუფის“ ანუ დასუფთავების სამსახურის ფუნქციებში შედის.

– ჩვენ მხოლოდ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა გვევალება. ბუჩქების გასხვლა, გაკრეჭა, ხეების მოვლა და ჩვენს პარკებში სიმწვანის შენარჩუნება, – აღნიშნა კობა ხარშილაძემ.

როგორც შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის პირველმა მოადგილემ – დავით დოლიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, „თბილსერვის ჯგუფს“ დედაქალაქის მასშტაბით 10 პარკი აქვს მოსავლელი.

– შეიძლება კერძო კომპანიების მფლობელობაში გადასული ბაღების და სკვერების დაგვა-დასუფთავება „გრინსერვისს“, ან რომელიმე სხვა ფირმას არ ევალებოდეს, მაგრამ ეს არც ჩვენ გვევალება: ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი მათი ტერიტორიის დასუფთავებაზე, რაც დიდ გაუგებრობას ქმნის. „თბილსერვის ჯგუფს“ დედაქალაქის მასშტაბით 10 პარკი აქვს მოსავლელი – ალექსანდროვის ბაღი, 9 აპრილის ბაღი, „მზიური“, ვაკის პარკი, ვერის ბაღი, დიღმის ტყე-პარკი და სხვა. ამ პარკების გარდა ჩვენ მოვლა-პატრონობაში სხვა პარკები არა გვაქვს და არც მათი დასუფთავება გვევალება. მაგალითად, მე არსად მაქვს განსაზღვრული, რომ კოლმეურნეობის მოედანთან არსებული პარკის მოწესრიგება და დასუფთავება მევალება. იქ ნაგვის ურნებიც სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ ვერ ვცვლით, რადგან არა გვაქვს ამის უფლება, – აღნიშნავს დავით დოლიძე.

რაც შეეხება მიწისქვეშა გადასასვლელებს, დოლიძის განმარტებით, „თბილსერვის ჯგუფს“ 2016 წლის მაისიდან გადაეცა რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელის მოვლა-პატრონობა, განათების გაკეთება და კეთილმოწყობა.

– დედაქალაქში 55 მიწისქვეშა გადასასვლელია, აქედან „თბილსერვისის“ მოვლა-პატრონობაში მხოლოდ 22-ია. დანარჩენები 2012 წლამდე პერიოდში კერძო ფირმებზე გაასხვისეს და როცა ტენდერით გათვალისწინებული ვადა ამოეწურებათ, ყველა ხელშეკრულება შეიცვლება. ზოგს წელს ეწურება ვადა, ზოგს – მომავალ წელს, ხოლო ზოგიერთს – 2020 წელს. 22 მიწისქვეშა გადასასვლელიდან 18-ს უკვე რემონტი ჩავუტარეთ. ვაკის პარკთან, ტელევიზიასთან, ანჩისხატის მიმდებარე ტერიტორიაზე – ყველა მიწისქვეშა გადასასვლელში დავაყენეთ ეკონომიური განათება. ყველაზე პრობლემური ადგილი გვაქვს „უშბას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რემონტი უახლოეს მომავალში დაიწყება, ასევე – წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, სადაც გარევაჭრობა მიმდინარეობს. იქ ანტისანიტარიაა, დღეში ორჯერ სუფთავდება, მაგრამ იქაურობა მაინც მოუწესრიგებელია, – აღნიშნავს დავით დოლიძე.

მისი თქმით, ყველაზე მძიმე სიტუაცია გმირთა მოედანთან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელშია, სადაც მუდმივი სიბინძურე და ანტისანიტარიაა.

– გმირთა მოედანზე ყველაზე რთული მდგომარეობა გვაქვს. ეს მიწისქვეშა გადასასვლელი გარემონტებულია, უბრალოდ, იქ ღამის საათებში ისეთი ხალხი იკრიბება, რომელიც ამ გადასასვლელს საშინელ მდგომარეობაში აგდებს. იქ მუდმივი სიბინძურე და ანტისანიტარიაა. საღამოს მუშაობა კი, შეუძლებელია, რადგან ეს ხალხი ჩვენს თანამშრომლებს საფრთხეს უქმნის. ისინი აზიანებენ განათებას, კაბელებს და ყველაფერს ირგვლივ... ერთი თვის წინ 40-მდე სანათი დავაყენეთ და 35 ქვებით ჩაამსხვრიეს. ეს ბოლო სამი წლის განმავლობაში დაზიანების მესამე შემთხვევაა. რამდენჯერმე გავანათეთ, მაგრამ ანგრევენ და ამტვრევენ. ეტყობა, არ სურთ, რომ იქ ნორმალური სიტუაცია იყოს.

შსს და საპატრულო პოლიცია საქმის კურსში არიან და ვნახოთ, რას გაარკვევენ. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება შსს-თან, რომ ასეთ ადგილებში კამერები დაიდგას, იქნებ ამან მაინც გამოასწოროს მდგომარეობა, – აღნიშნავს დავით დოლიძე.

დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის დახმარების გარეშე ვერაფერს მიაღწევენ, ყოფილა შემთხვევა, როცა „თბილსერვისის“ თანამშრომლებს ყველაფერი დაგვილი და მოწესრიგებული დაუტოვებიათ და 1-2 საათში იმ ადგილას საშინელი უწესრიგობა და ნაგავი დახვედრიათ.

– თუ მოსახლეობა ჩვენს ნაშრომს არ გაუფრთხილდება, დედაქალაქში წესრიგს ვერასოდეს დავამყარებთ. ჩვენი მიწისქვეშა გადასასვლელების, ბაღების და სკვერების მოვლა თბილისელების მოვალეობაცაა, – აცხადებენ „თბილსერვის ჯგუფის“ მუშაკები.

# მიხეილ ჯანელიძე: „ჩვენი მიზანია ევროკავშირის სრული წევრობა“

ვარშავაში „ვიშეგრადის ოთხეულისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი იყო ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობა და ამ პროცესში „ვიშეგრადის ოთხეულის“ ჩართულობა.

გაიმართა „ვიშეგრადის ოთხეულის“ საგარეო საქმეთა მინისტერიალი, სადაც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება. მინისტრების გადაწყვეტილების თანახმად, 2017 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ბრიუსელის სამიტის დეკლარაციაში უნდა აისახოს პარტნიორი ქვეყნების მისწრაფებების მხარდაჭერა და ევროპული პერსპექტივა.

„ვიშეგრადის ოთხეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდგომ გაიმართა პლენარული სესია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისა და სხვა მოწვეული მინისტრების მონაწილეობით, რომელიც დაეთმო ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირების განმტკიცების საკითხს, კერძოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების განვითარების კუთხით. შეხვედრისას ხაზი გაესვა სტრატეგიული პროექტების განხორციელების და აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორი ქვეყნების პან-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში ინტეგრირების მნიშვნელობას.

„ვიშეგრადის ოთხეულის“ მინისტრებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მტკიცე მხარდაჭერა „აღმოსავლეთ პარტნიორობისადმი“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე პლენარული სესიის ფარგლებში სიტყვით გამოვიდა. მინისტრმა ისაუბრა „ვიშეგრადის ოთხეულის“, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელობაზე. მიხეილ ჯანელიძემ ასევე ისაუბრა საქართველოს მნიშვნელობაზე, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელ კორიდორზე და ამ კუთხით სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე. მიხეილ ჯანელიძემ ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალ სამიტზე, რომელიც დაგეგმილია ბრიუსელში 2017 წლის ნოემბერში. მინისტრმა კოლეგებს გააცნო ის მოლოდინები და პრიორიტეტები, რომელიც ქართულ მხარეს აქვს სამიტთან დაკავშირებით.



საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სიტყვით გამოსვლისას წარმოადგინა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ექვსპუნქტიანი გეგმა, რომლის განხორციელებითაც საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროკავშირს.

– ამ დღის წესრიგის შედეგად საქართველო გახდება ევროპული სახელმწიფო, წევრი ქვეყნის სტატუსის გარეშეც. ჩვენი მიზანია ევროკავშირის სრული წევრობა. ყველასათვის ცნობილია, რომ ეს წარმოადგენს საქართველოს მისწრაფებას. რეფორმები და ზემოხსენებული ექვსი პუნქტი წარმოადგენს სრული წევრობის გზას. აღნიშნულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკურ გზავნილს – ევროპული პერსპექტივის დაფიქსირებას. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ამ მიმართულებით, რათა შევძლოთ ამ პოლიტიკური მისწრაფების განხორციელება – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილმა კალაძეს ნარმანია ამჯობინა“

შორენა მარსაგიშვილი

მისცემენ თუ არა მერობის მეორე შანსს ნარმანიას, რა კრიტერიუმებით არჩევს კანდიდატებს ივანიშვილი, რა დავალება მიიღო სუს-მა, რატომ დადიან კუნთმაგარი ტიპები საკრებულოში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.





***– საკრებულოში ანგარიშის წარსადგენად მისულმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ ის დედაქალაქის მერის პოსტზე მეორე ვადით აპირებს კენჭისყრას. არადა იყო საუბარი, რომ „ოცნების“ კანდიდატი კალაძე იქნებოდა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?***

– დავით ნარმანია ამ თემაზე უკვე ღიად საუბრობს როგორც საკრებულოს, ასევე პარლამენტის წევრებთან. მას დიდი იმედი აქვს, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ისევ ის იქნება. როგორც თავად ამბობს, ეს საკითხი სადღაც 20 მაისისთვის გადაწყდება.

***– დავით ნარმანიას სახელი სულ სკანდალებს და წარუმატებლობას უკავშირდება. შარშან, საპარლამენტო არჩევნების წინ, ლამის თანამდებობა დაატოვებინეს. ახლა რატომ უნდა დააყენონ მერობის კანდიდატად, ასე უჭირთ კადრებში?***

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში აბსოლუტურად სხვა რეალობა შეიქმნა. სოლოლაკში მჯდარმა ბრძენმა კაცმა რაკი საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო, მისთვის ნარმანია არის ნაკლები პრობლემა. მისი უსაქმურობის, უუნარობის და სკანდალების მიუხედავად.

საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე მისი გადაყენების საკითხიც კი დადგა. ყველა აღიარებდა, რომ ის ხალხს ძალიან აღიზიანებდა.

***– ახლა აღარ აღიზიანებს ხალხს ნარმანია?***

– ნარმანია ხალხსაც აღიზიანებს და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, მაგრამ აქ მთავარია ივანიშვილის პოზიცია. მას თბილისის მერად პოლიტიკური ფიგურა არ სჭირდება. მისთვის იდეალური კანდიდატურაა დავით ნარმანია, რომელიც იმ ბრძენ კაცთან მონურ მორჩილებაშია.

თბილისის მერმა ივანიშვილს ყველაფერი შეუსრულა – პანორამიდან დაწყებული, ბოტანიკური ბაღით დამთავრებული, რასაც მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ამბავიც დაემატა. მერის პოსტზე ასეთი კაცის ყოფნა სოლოლაკელი ბრძენისთვის კომფორტია.

მონურ მორჩილებას რომ თავი დავანებოთ, ნარმანია პოლიტიკურ დივიდენდებს ვერასდროს მოიპოვებს და ის ივანიშვილისთვის პოლიტიკურად სახიფათო არ გახდება.

***– კალაძე ამიტომ იქნა დაწუნებული, რომ ნარმანიას უნარ-ჩვევები არ აღმოაჩნდა?***

– თავისი ნეგატივების მიუხედავად, მას აქვს შანსი, გახდეს პოლიტიკური ფიგურა. სხვა თუ არაფერი, ის კახი კალაძეა. მას გააჩნია თავისი ფინანსური რესურსები და საზღვარგარეთიდანაც შეუძლია მათი მოზიდვა. ამიტომაც ის ივანიშვილისთვის მაინც სახიფათოა.

მერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ჩემი აზრით, არჩევანი მოქმედ მერზე შეჩერდება. ამის თქმის საფუძველს ის დავალებაც მაძლევს, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიიღო.

***– რა დავალებაზეა საუბარი?***

– ჩემს ხელს არსებული ინფორმაციით, სუსს მწვანე აქვს ანთებული მერიაში ნებისმიერი თანამდებობის პირის დაკავებაზე. ამ სიაში დავით ნარმანია არ შედის. გამგებლის მოადგილეების, სპეციალისტების, მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლების დაკავებაზე მწვანეა ანთებული, თუ ისინი ქრთამს აიღებენ.

ეს ერთის მხრივ კარგია, მუქთახორები შესეულები არიან დედაქალაქის ბიუჯეტს, ქაფავენ და ჭამენ. ცოტა ხნის წინ გამგეობის წამყვანი სპეციალისტი დააკავეს 20.000 დოლარის ქრთამის აღების ფაქტზე. წამყვანი სპეციალისტი რომ ამას ბედავს, ადვილი წარმოსადგენია, რას იზამენ მაღალი რანგის მოხელეები.

ახლა სუსის დახმარებით მიდის ასეთი ხალხისგან მერიის გათავისუფლება. ნარმანიაც კმაყოფილია, მას თანამშრომლები კი არა, მთელი სანათესავო რომ დაუჭიროს, ოოოო, დიდი ბიძინაო, იტყვის და მეტანიებსაც გაუკეთებს.

***– დედაქალაქის მერის მიერ წარდგენილ ანგარიშზე რას იტყვით?***

– ყველაზე უხერხული ის იყო, რომ ანგარიშის მოსასმენად კუნთმაგარი ტიპები ჰყავდათ მოყვანილი. ისინი აგრესიულად იცავდნენ დავით ნარმანიას და აგრესიულად იყვნენ განწყობილი ოპოზიციის მიმართ. სამარცხვინოა, როცა მერს საკრებულოში ანგარიშის წარდგენისაც კი ეშინია და იქ კუნთმაგარი ხალხის იმედზეა.

მის მიერ წარდგენილი ანგარიში თბილისში არსებული რეალობისგან მკვეთრად განსხვავდება.

დავით ნარმანია უკვე 33 თვეა, რაც თბილისის მერია და ამ პერიოდში დედაქალაქმა მისგან სიურპრიზის სახით მიიღო მოუწესრიგებელი გზები, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოუწესრიგებელი და მოუგვარებელი საცობების პრობლემა, მოუწესრიგებელი და უკანონო მშენებლობები, მოუწესრიგებელი და გაჩეხილი სარეკრეაციო ზონები.

მის მერობასთან არის დაკავშირებული კიდევ უფრო შეჭირვებული მოსახლეობა, ნეპოტიზმი, კორუფცია, არაპროფესიონალიზმი, უუნარობა, მავნებლობა, ივანიშვილისთვის გადაცემული ბოტანიკური ბაღი.

მისი მერად მოსვლის შემდეგ მივიღეთ გაზრდილი ბიუროკრატია, გაფლანგული მილიონები, შუქნიშნის დადგმის რჩევაში გადახდილი ასეულ ათასობით ლარი. მივლინებებში იხარჯება ასეულობით ათასობით ლარი.

მერიაში კაფეტერიის გასაკეთებლად გამოიყო 200.000 ლარი. სამაგიეროდ, 1.18 ლარიან მენიუზე გადაიყვანეს უფასო სასადილოებთან მომლოდინე ათასობით ბენეფიციარი. არანორმალურად დიდია ხარჯი ავეჯის და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

დედაქალაქის მერის ანგარიშში არ ყოფილა საუბარი გაჩეხილ ხეებზე, პროკურორის შვილისთვის გადარიცხულ საბიუჯეტო თანხებზე, მოსამართლე ნაზღაიძისთვის გადაცემულ მილიონ ლარზე. მის სახელსვე უკავშირდება სოციალურად დაუცველების ვაკელებად და სამგორელებად დაყოფა.

***– ვაკელებად და სამგორელებად დაყოფა რას ნიშნავს?***

– იმას, რომ 18 ლარიანი დახმარება ერგოთ სამგორელებს, ხოლო 36 ლარიანი დახმარება – ვაკელებს.

***– ნარმანიას მერობის პერიოდში სასიკეთო არაფერი გაკეთებულა?***

– როგორ არა, ცნობილი ფაქტია, რომ თბილისის მერიაში ჩატარებული ატესტაციის დროს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს და აქტივისტებს ტესტები წინასწარ დაურიგეს. თავისი ძმაკაცი მარგიშვილისთვის შექმნა ა(ა)იპი, რომლის დაფინანსებისთვის ბიუჯეტისთვის მილიონობით ლარი გამოიყო.

ნარმანიას რეკომენდაციით მერიასა და თბილისის გამგეობებში უამრავი ადამიანი დასაქმდა. 2014 წლის დეკემბერში მისი რეკომენდაციით დასაქმებული მერიის და გამგეობების თანამშრომლების 70% გამოცდებში ოფიციალურად ჩაიჭრა.

ოროსნები ასობით უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელის ადგილზე დასაქმდნენ. ამ ადამიანების კომპენსაციისთვისაც თბილისის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი გამოიყო. ეს უკავშირდება ნარმანიას და მისი მთავრობის უკანონო გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ბიუჯეტი აფინანსებს.

როგორც ყველა საჯარო სამსახურში, მათ შორის, დედაქალაქის მერიაში, აქტუალურია ნეპოტიზმის პრობლემა. მაგალითად, ჯაბა სამუშიას დასაქმებული მეუღლე, გამგებელ ქიზიყურაშვილის დასაქმებული შვილი, ზაზა გაბუნიას დასაქმებული ცოლისძმა, კახი კალაძის დასაქმებული ცოლისძმა, კახი კალაძის დასაქმებული ცოლის ბიძა, საკრებულოს დეპუტატების დასაქმებული ცოლები, შვილები და ნათესავები.

მერს ახლობლებისთვის არც პრემია-დანამატები ენანება. გაზრდილი ბიუროკრატიის კვალდაკვალ გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი და გაზრდილია საშტატო ერთეული. გაცემულია მილიონობით ლარის ოდენობის პრემია-



დანამატები. რიგ შემთხვევებში, 1 თვეში პრემიების ოდენობა 2 მილიონ ლარსაც კი აჭარბებს.

მერს გარემოცვისთვის არც ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდი საწვავი ენანება. ასე, მაგალითად, 1 თვეში გახარჯული ტონობით ბენზინი, რომელიც იმდენად არაადეკვატურია, რომ საპატრულო პოლიციის მიერ გახარჯული საწვავის ტოლია, რიგ შემთხვევაში მეტიც.

სხვა დადებითი მის საქმიანობაში არაფერია, ბატონ ბიძინას ყველაფერი რომ შეუსრულა, ამაზე ზევითაც გესაუბრეთ. ამით ბრძენი კაცი კმაყოფილია და ამბობს, რატომაც არა, იყოს დათო კიდევ ერთი ვადით თბილისის მერი.

# გიორგი მარგველაშვილი: „მე ვაკონტროლებ სტრასბურის სასამართლოს და ნიუ ორკის ბირჟას“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ პრეზიდენტის კაბინეტიდან აქვს ოპერატიული ინფორმაცია, ისევ აქტუალურ სანერვიულო თემად რჩება.

ხელისუფლებას ამ განცხადების „გაპრავება“ არც კი უცდია. ამასთან ისინი, კობახიძისგან განსხვავებით, არ ირწმუნებიან, რომ პრეზიდენტი ოპოზიციას საკონსტიტუციო კომისიის დატოვებისკენ მოუწოდებდა.

ყველაზე მშვიდად ამ ბრალდებას საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარის გასახარებლად მან მედიას აღიარებითი ჩვენება მისცა.

– ვაღიარებ, რომ ვაკონტროლებ სტრასბურის სასამართლოს, ნიუ ორკის ბირჟას, ვაკონტროლებ გადაცემას „ვის უნდა 20 ათასი“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

სპიკერის ხელთ არსებულ ინფორმაციას ის დაუზუსტებელს უწოდებს. ოპოზიციასთან დიალოგს კი მიესალმება და ამის გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.



– არ ვიცი, საიდან მოდის ეს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომელი ქვეყნების სპეცსამსახურები აწვდიან ამ ინფორმაციას სხვადასხვა თანამდებობის პირებს. სერიოზულად თუ გავცემ პასუხს, ვიტყვი, მნიშვნელოვანია, რომ როგორც აქ ვახერხებთ ერთმანეთთან საუბარს, ასეთი საუბრები შედგეს პოლიტიკოსებს შორის.

მნიშვნელოვანია, იყოს კრიტიკა, მსჯელობა, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

კობახიძის ბრალდებებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, უაზრობაა პრეზიდენტისთვის იმ ოპოზიციასთან კონსპირაციული მოლაპარაკებების დაბრალება, რომელმაც „ოცნებასთან“ ერთად მხარი დაუჭირა პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებას.

– საკონსტიტუციო კომისიამ მასში შემავალ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად მიიღო დოკუმენტი, როგორ მცირდება პრეზიდენტის ფუნქციები, როგორ იცვლება პირდაპირი არჩევის წესი არაპირდაპირით, როგორ უქმდება უშიშროების საბჭო, როგორ რჩება პრეზიდენტი ადმინისტრაციის გარეშე – ეს დოკუმენტი კომისიის იმ წევრებმა მიიღეს ერთობლივად, რომლებთანაც კონსპირაციულ შეთქმულებებში გვადანაშაულებდნენ. და სად არის აქ ლოგიკა? თუ ასეთი ტიპის კონსპირაციულ შეთქმულებებს ვალაგებთ, გამოდის, რომ ჩვენ ვალაგებთ იმ კონსტიტუციურ პროექტს, რომელიც ამ კომისიამ მიიღო, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის განცხადებით, ხელისუფლება თვითიზოლაციაშია.

– ისინი სხვის აზრს არ ითვალისწინებენ. ასეთ დროს სხვადასხვა სახის კონსპირაციული შეთქმულებების თეორიები ჩნდება. ერთ-ერთი ასეთი მთავარი კონსპირაციის თეორია ჩამოყალიბდა სწორედ ისე, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თურმე, ვესაუბრებით საკონსტიტუციო კომისიის წევრებს სხვადასხვა შეთქმულების თეორიებზე, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

გიორგი აბაშიშვილის განმარტებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია საკონსტიტუციო რეფორმის პარალელურად პროექტს „კონსტიტუცია ყველასია“ ახორციელებს.

მისი თქმით, პროექტის ფარგლებში, პრეზიდენტი სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობას ხვდება და მათ აზრს ისმენს.

– აღნიშნული ფორმატი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას დაეხმარება. სამწუხაროა, რომ მმართველმა გუნდმა არ იცის, თუ რა არის საზოგადოების დაკვეთა, – ამბობს აბაშიშვილი.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ აბრალავა: „ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტის, ძლიერი პრემიერისა და ძლიერი პარლამენტის დაბალანსებული ინსტიტუტები“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ აქტუალურ საკითხებზე ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.

***– ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის დაწესებული 5%-იანი ბარიერი არ მცირდება, პოლიტიკური ბლოკები იკრძალება, გადაუნაწილებელ მანდატებს კი მხოლოდ გამარჯვებული პარტია წაიღებს. ამას ეწინააღმდეგებიან პარტიები.***

– შეიძლება ყველა ნორმა არ მომწონდეს, მაგრამ ამ ყველაფერში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ, როგორც ამას პოლიტიკური პარტიები ხატავენ. როგორი კანონიც უნდა მოქმედებდეს, პარტიების გულს ვერ მოიგებ. ამ პარტიებს ხალხის ნდობა არ გააჩნიათ. მათი რეიტინგები ისეთი დაბალია, რომ საარჩევნო ზღურბლის დაწევაც ვერ უშველით. ჩემი ნება რომ იყოს, არჩევნებზე 1%-იან ბარიერს დავაწესებდი. დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური ორგანიზაციები ამასაც ვერ გადალახავდნენ. მათ შორის, ნაციონალური მოძრაობა და მისგან გამოყოფილი ჯგუფი, რომელმაც ევროპული საქართველო დაირქვა.

***– ბლოკებზე რას იტყვით?***



– ეს არსებით საკითხად არ მიმაჩნია. იმას კი ვიტყოდი, რომ აკრძალვა გამოსავალი არ არის. მისახედია პარტიების დაფინანსების საკითხი. პარტიები, რომლებსაც არანაირი კონცეფცია და პროგრამა არასდროს ჰქონიათ, არც ქვეყნისთვის გაუკეთებიათ რამე, რატომღაც ითვლებიან კვალიფიციურებად. ისინი ფინანსდებიან ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბეებიდან. ეს

## „პოლიტიკური პარტია არ უნდა იყოს დამნაშავეების თავშესაფარი“

უსამართლობაა.

***– ბლოკების აკრძალვის მომხრეები სწორედ იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ზოგი პარტია წინასაარჩევნოდ ბლოკში შედის იმისთვის, რომ არჩევნების მერე დაფინანსება მიიღოს.***

– ასეთი პარტიების ლიდერები პენსიონერებივით იღებენ ფულს სახელმწიფოსგან. ცოდნითა და პროფესიონალიზმით თუ შევაფასებთ, ისინი არაკვალიფიციურები არიან. მათი დაფინანსება მიზანშეუწონელია. ეს წესი გასაუქმებელია. პარტიებისთვის შევამცირებდი ბარიერს და გადაუნაწილებელ მანდატებს არ მივაკუთვნებდი გამარჯვებულს. ეს სახელგატეხილი და გარიგებების მოყვარული პარტიები ისედაც ვერ მიაღწევდნენ შედეგს.

***– აღნიშნეთ, რომ შედეგს ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველოც ვერ მიაღწევენ. აირაის ბოლო გამოკითხვით, ერთ მათგანს 15-%-იანი რეიტინგი აქვს, მეორეს – დაახლოებით 7%-იანი.***

– ამ ორ პარტიასაც არ შეუძლია არჩევნების მოგება. ასეთი გამოკითხვებისა ბევრს არ სჯერა. არც მე ვენდობი ამ მონაცემებს. ერთხელ სტალინმა სინოპტიკოსებს ჰკითხა, რამდენად მართლდებოდა მათი პროგნოზები. 20%-ითო, უპასუხეს. სტალინმა ურჩია, საწინააღმდეგოდ ეფიქრათ. ჩვენც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ნაციონალები და ევროპული საქართველო მუდმივად კამათობენ, ხმაურობენ, უნდათ დაამტკიცონ თავისი სიცოცხლისუნარიანობა. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ – ესაა მათი ნამდვილი მისწრაფება. ევროპულ საქართველოს არაფერი აქვს საერთო ევროპულ ღირებულებებთან. ამ ვითომ ევროპელ ყოფილ ნაციონალებს რუსული საქართველო უნდა ერქვათ. ნაცმოძრაობა და მისი გადმონაშთები წარსულია. მათ რეიტინგი ვერ ექნებათ.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ ნაციონალებსა და ევროპულ საქართველოს „ქართული ოცნება“ აცოცხლებს.***

– ხელისუფლებასთან და მმართველ პარტიასთან ერთი მთავარი პრეტენზია მაქვს – ზედმეტი ლიბერალიზმი და ლოიალობა დამნაშავეების მიმართ. პოლიტიკური პარტია არ უნდა იყოს დამნაშავეების თავშესაფარი. თუ დანაშაულისთვის ისჯება სხვა მოქალაქე, რატომ უნდა იყოს დაუსჯელი პარტიის ლიდერი ან წევრი? ამ მხრივ, „ოცნება“ მათ აცოცხლებს.

***– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ საარჩევნო ცვლილებებით ქმნიან პოლიტიკურ სისტემას ქვეყანაში.***

– ეს გაუგებარი და მიამიტური განცხადებაა. რომ ეთქვათ, ახალ სისტემას ვაყალიბებთ, ან ძველის სრულყოფას ვახდენთო, უფრო გასაგები იქნებოდა.

***– დიდი ხანია, საკამათოა პრეზიდენტის არჩევის წესი. მომავალში მას კოლეგია აირჩევს.***

– მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტის, ძლიერი პრემიერისა და ძლიერი პარლამენტის ინსტიტუტები. ეს შტოები კარგად უნდა იყოს დაბალანსებული. დაბალანსება უნდა მოხდეს არა სისუსტის, არამედ, სიძლიერის ხარჯზე.

პრეზიდენტის არჩევის წესზე უფრო მეტად მაწუხებს ახლანდელი პრეზიდენტის პიროვნება და მისი ადმინისტრაცია. ისინი არ იმსახურებენ ნდობას და პატივისცემას. ჩვენ კარგად არ ვიცით, რა ხდება პრეზიდენტის სასახლეში. ჩანს ის, რომ იქ იკრიბებიან საეჭვო პირები. ზოგ მათგანს პოლიტიკური ბიოგრაფია არ გააჩნია, ზოგს კი ბნელი წარსული აქვს. მათი ვინაობის დასახელება არ მინდა. საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს, რა მოვლენები ვითარდება ავლაბრის რეზიდენციაში.

# რუსეთს ჩეჩნეთში ომის დროს ქიმიური ნაწილები ჰყავდა შეყვანილი

გულიკო ბალაძე

შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის, თადარიგის ოფიცერ მრჩეველთა საბჭოს წევრი, ქიმიური სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ურუშაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთს ჩეჩნეთში ომის დროს შეყვანილი ჰყავდა ქიმიური ნაწილები.

ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ურუშაძე გამოთქვამს ეჭვს, რომ იტალიელი ჟურნალისტის ანტონიო რუსოს მკვლელობა (რომელიც მკვლელობამდე ომის დროს ჩეჩნეთში იმყოფებოდა) დაკავშირებული იყო რუსეთის მიერ ჩეჩნეთში ქიმიური ნაწილების შეყვანასთან.

ჩეჩნეთის ომის დროს რუსებს იქ შეყვანილი ჰყავდა ქიმიური ნაწილები. იბადება კითხვა, რისთვის შეიყვანა რუსეთმა ომის დროს ჩეჩნეთში ქიმიური ნაწილები? ტყუილად ხომ არ შეიყვანდა, ბენზინს ტყუილად ხომ არ დახარჯავდა? შეიძლება ჭუჭყიანი რადიაციული ბომბები გამოიყენეს. სამწუხაროდ, მტკიცებულება არ გვაქვს. იტალიელ ჟურნალისტს, ანტონიო რუსოს ჰქონდა მტკიცებულება, მაგრამ მოკლეს და მისი ცხედარი კი არ დამალეს, გზაზე დააგდეს. ეს იყო გაფრთხილება, – აცხადებს ქიმიური სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ურუშაძე.

***– ბატონო ელგუჯა, როგორ აფასებთ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას?***

– მე არ გამკვირვებია, რომ სირიაში კვლავ იქნა გამოყენებული ქიმიური იარაღი.

***– რატომ არ გაგკვირვებიათ?***

– იმიტომ, რომ რუსეთს სირიაში ომის წარმოება ყოველდღიურად ძალიან დიდი თანხა უჯდება, ასტრონომიულ თანხებზეა საუბარი. რუსეთი ხედავს, რომ ჩვეულებრივი იარაღით ვერ აღწევს მიზანს. ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი, მოაწყო პროვოკაცია, რისი დიდოსტატიც არის ქვეყანა, რომელმაც ქიმიური იარაღი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა.

***– როდის?***

– პუტინის პირველი პრეზიდენტობის დროს, ნორდოსტის თეატრში პუტინმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, თავს უფლება მისცა, რომ უდანაშაულო ხალხზე, ტერორისტებთან ბრძოლის მომიზეზებით, გამოეცადა სრულიად ახალი საბრძოლო, სასიკვდილო დანიშნულების მომწამვლელი ნივთიერება. ასეთი ქვეყანა, რომელიც საკუთარ თანამოქალაქეებს არ ინდობს, ის სირიაში მცხოვრებ მოსახლეობას, ან საქართველოს დაინდობს? არ დაინდობს.

***– სირიაში ქიმიური იარაღი რუსეთმა გამოიყენა?***

– მხარი დაუჭირა, ასადს მისცა საშუალება, ქიმიური იარაღი გამოეყენებინა. საიდან უნდა ჰქონოდა ბაშარ ასადს ავიაცია ქიმიური იარაღის გასაფრქვევად?!

***– ასადს მისცა ავიაცია, რომ ქიმიური იარაღის გასაშვებად გამოეყენებინა?***

– დიახ. ყველა თვითმფრინავს ხომ არ შეუძლია ქიმიური იარაღის გამოყენება? რუსეთი მხარს უჭერს ასადს და არსებობს ეჭვი, რომ ბაშარ ასადმა სირიაში ქიმიური იარაღი რუსეთის ხელშეწყობით გაუშვა.

***– ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი ამბობს, რომ ბასარ ასადმა დაბომბა ქიმიური იარაღის საწყობები.***

– ესეც შეიძლება. შეიძლება ქიმიური იარაღი არ გამოიყენო, მაგრამ ისეთი დაწესებულებები დაბომბო, ისეთი საწარმოები, სადაც ამზადებენ და ინახავენ ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებას.

***– თქვენ ამბობთ, რომ ასადმა ქიმიური იარაღი ავიაციის გამოყენებით გაავრცელა?***

– ამას მე არ ვამბობ, საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ, რომ ავიაცია იქნა გამოყენებული. ზუსტად რა მოხდა, არავინ იცის. ფაქტი სახეზეა, რომ ქიმიური იარაღია გამოყენებული.

პირველ შემთხვევაში, 2013 წელს, სირიაში ქიმიური იარაღის გასაშვებად არტილერია, საარტილერიო ცეცხლი გამოიყენეს და 1.500 კაცი დაიღუპა. ახლა ამბობენ, რომ ავიაციის გზით მოხდა ქიმიური იარაღის გამოყენება, რაც სამხედრო დანაშაულია.

***– კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული.***

– დიახ. სადამ ხუსეინი ამ მუხლით დასაჯეს სიკვდილით, მას სხვა დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. მას ქიმიური იარაღი ჰქონდა გამოყენებული საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და ამ მუხლით დასაჯეს სიკვდილით.

***– რა რაოდენობის იარაღი იქნა გამოყენებული?***

– ქიმიური იარაღის დიდი ოდენობა საჭირო არ არის. მცირე რაოდენობის „ზარინიც“ საკმარისია, რომ ასეულობით ადამიანი გარდაიცვალოს. თვალით ძლივს შესამჩნევი, 2 წვეთიც კი, საკმარისია ადამიანის მოსაკლავად. წარმოიდგინეთ, რამდენ ადამიანს მოკლავს 5 ლიტრი „ზარინი“ – შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობა გაანადგუროს.

***– თუ სასიკვდილო დოზა არ იქნება?***

– შეიძლება ქიმიურმა იარაღმა ადამიანი არ მოკლას, მაგრამ მთელი ცხოვრება ინვალიდი იქნება.

***– თვითონ ის ტერიტორია, სადაც ქიმიური იარაღი გამოიყენეს, რა მდგომარეობაში***



***დარჩება?***

– გააჩნია, რა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. თუ გამოიყენებ ფიტოტოქსიკანტებს, როგორც ეს ამერიკამ გააკეთა ვიეტნამის უსასტიკეს ომში, ტერიტორიას სამუდამოდ გაანადგურებ. როცა ამერიკამ დაინახა, რომ ვიეტნამში ომს ვერ იგებდა, გამოიყენა ქიმიური იარაღი. მხოლოდ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ქიმიური იარაღი კი არ არის, არამედ მცენარეების ქიმიური იარაღიც არსებობს. გამოიყენეს და დღეს იქ უდაბნოა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, ვიეტნამში, სადაც ქიმიური იარაღი გამოიყენეს, უდაბნოა.

***– რა მოხდება სირიაში?***

– სირიაში ფიტოტოქსიკანტები არ გამოუყენებიათ. სირიაში გამოიყენეს კონკრეტულად ადამიანების განადგურებისთვის განკუთვნილი ქიმიური იარაღი.

***– რუსეთს ბირთვული იარაღიც ხომ აქვს. მისი გამოყენების საშიშროება არსებობს?***

– ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროება არსებობს, მაგრამ ჯერ არ სჭირდება, რადგან უფრო უკეთესი იარაღი აქვს – ქიმიური, ბიოლოგიური იარაღი. რად უნდა ბირთვული იარაღის გამოყენება, რომელიც ყველაფერს ანგრევს. ბირთვული იარაღი რუსეთს სჭირდება დაშინების მიზნით, ანუ მუქარის პოლიტიკაზეა გადასული. თუ დასჭირდა, რუსეთი ყველაფერზეა წამსვლელი.

ბორჯომში ვიყავი მინერალური წყლის წამოსაღებად, იქ რიგში გავიცანი ყოფილი რუსი პოლკოვნიკი, ოფიცერი, რომელიც ოდესღაც ახალციხეში მსახურობდა, ცოტა ნასვამი იყო და ჩემთან პირად საუბარში დაიწყო პუტინის ლანძღვა. მე მეგონა, რომ ის საქართველოს მეგობარი იყო, მაგრამ არა – მან თქვა, პუტინს იმიტომ ვლანძღავ, თქვენთან ომი მხოლოდ 5 დღე რომ იყოო. ჩვენ გვინდოდა, ომი უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო, რომ მთლიანად დაგვეპყრო და ბორჯომიც ჩვენი ყოფილიყოო.

***– რუსი პოლკოვნიკი ბორჯომში ისვენებდა?***

– თან ისვენებდა და თან ნერვიულობდა, ბორჯომიც ჩვენი გვინდა იყოსო, თქვენ რად გინდათ, აქ ჩვენი ძმები, ოსები ცხოვრობდნენ და უნდა დავეხმაროთო. ძალიან ვნანობ, ომი ასე მოკლე დროში რომ დამთავრდაო.

***– ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით საშიშროება ჩვენთან არის?***

– არის. საქართველოში ამერიკელების მიერ გახსნილია ბიოლოგიური დაწესებულება, რომელშიც რა მზადდება, არავინ იცის. ომის დროს ბომბი რომ მოხვდეს და დაზიანდეს, ავარია მოხდეს, წარმოიდგინეთ, რა მოხდება. ჩერნობილში ბირთვული ავარია რომ მოხდა, ის იყო ატომური ელექტროსადგური. ასეთივე ავარია შეიძლება მოხდეს ბიოლოგიურ საწარმოშიც, სადაც ბიოლოგიურ იარაღს ამზადებენ. ისიც მილიონობით ადამიანის მსხვერპლს გამოიწვევს.

***– ჩერნობილის ავარიამ ჩვენც დიდი ზიანი მოგვაყენა.***

– კი, მაგრამ რადიაციას აქვს თვისება, წლების შემდეგ ვლინდება ავთვისებიანი სიმსივნეებითა და სისხლის გათეთრებით.

ჩეჩნეთის ომის დროს რუსებს იქ შეყვანილი ჰყავდა ქიმიური ნაწილები. იბადება კითხვა, რისთვის შეიყვანა რუსეთმა ომის დროს ჩეჩნეთში ქიმიური ნაწილები? ტყუილად ხომ არ შეიყვანდა, ბენზინს ტყუილად ხომ არ დახარჯავდა? ქიმიურმა ნაწილებმა ჩეჩნეთში ხომ რაღაც გააკეთეს?

***– რა გააკეთეს?***

– ინფორმაცია ვისაც ჰქონდა, უკვე მოკლეს – ჟურნალისტი ანტონიო რუსო. ქიმიურმა ნაწილებმა შეიძლება ისეთი რამ გააკეთეს, რაც უცნობია მსოფლიოსთვის. ჩეჩნეთის მოსახლეობა პირველ ადგილზე დგას ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ადამიანების რაოდენობით. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის შეყვანილმა ქიმიურმა ნაწილებმა რაღაც გააკეთეს.

***– რა შეიძლება გაეკეთებინათ?***

– ძნელი სათქმელია. ერთადერთი ჟურნალისტი, ვინც გაბედა და ამის გამოძიება დაიწყო, იყო იტალიელი ჟურნალისტი ანტონიო რუსო, რომელიც იქ ჩავიდა, მასალები აიღო, თუ რა გააკეთა რუსეთმა და უკან რომ მოდიოდა, მოკლეს. სამწუხაროდ, ეს იყო საქართველოს ისტორიაში შევარდნაძის სამარცხვინო პერიოდი, რუსული დაზვერვა ძლიერი იყო. მათ არ გასჭირვებიათ ჟურნალისტის მოტყუებით გამოყვანა ბინიდან და მოკვლა.

***– რუსებმა ჩეჩნებს გენოციდი რომ მოუწყვეს, ცნობილია. რა შეიძლებოდა ქიმიურ ნაწილებს გაეკეთებინათ, სავარაუდოდ არ შეგვიძლია ვთქვათ? ხომ შეიძლება, ვთქვათ, ქიმიური იარაღი შეეტანათ და ჩაემარხათ.***

– შეიძლება.

***– ან ქიმიური იარაღი, მომწამვლელი ნივთიერება გაეშვათ დაბალდი დოზით.***

– ჭუჭყიან რადიაციულ ბომბებს გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, მტკიცებულება არ გვაქვს. აშკარაა, ანტონიო რუსოს ჰქონდა მტკიცებულება, მაგრამ მოკლეს. მისი ცხედარი კი არ დამალეს, გზაზე დააგდეს. ეს იყო გაფრთხილება სხვა ჟურნალისტების წინააღმდეგ. თუ თქვენც გაბედავთ, გადახვალთ ჩეჩნეთში და რაც ანტონიო რუსომ გააკეთა, იმის გაკეთებას ეცდებით, მსგავსი რამ გელითო. თორემ რა უნდოდა ცხედრის ჩამარხვას.


გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გადავალეწავთ პარლამენტის სკამებს!

## ვის და რატომ ემუქრება სანდრო ბრეგაძე

ნონა ცაბაძე

**კონსტიტუციური ცვლილებები ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. უნდა ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციაში, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობა, ამაზე ჩვენი კანონმდებლები კიდევ ვერ შეთანხმდნენ. ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს.**

***– ბატონო სანდრო, საუბარია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს განმარტება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ეროვნულები ამას თქვენს გამარჯვებად მიიჩნევთ. აღარაფერი შეიცვლება ამ კუთხით?***

– ფაქტობრივად საოცრება მოვახდინეთ. 250.000 ადამიანის ხელმოწერა შევაგროვეთ, რამაც ქართველთმოძულეები დაამარცხა. დიდი ძალა იყო ჩვენ წინააღმდეგ მობილიზებული. იქით მამათმავლები, ჯორჯ სოროსი, მისი ფონდი, უცხოური ქვეყნის საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ე.წ. პრეზიდენტი მარგველაშვილი, დაშინებული კვირიკაშვილი, სახალხო დამცველი და ნაციონალები, ბოკერიას ფრთის ჩათვლით, ყველა ჩვენ წინააღმდეგ იყო. ასევე „ქართული ოცნების“ ძალიან დიდი ნაწილი.

მეორე მხარეს კი ვიყავით ჩვენ უფულოდ და უტელევიზიოდ, მხოლოდ შიშველი ხელებით. თუმცა ჩვენ გავიმარჯვეთ და ქართველთმოძულეებს თავზე დავამხეთ ოცნება, რომ ოდესმე ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულიყო ჩვენს ქვეყანაში. ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის ერთობა!

***– დარწმუნებული ხართ, რომ ჩაიწერება?***

– ჩვენი გამარჯვების პარალელურად, რა თქმა უნდა, მოქმედებენ ეს ჯგუფები და მე ვიცი, რომ ხელისუფლების მხრიდან არის საოცრად დიდი ღალატი.

***– ღალატში რას გულისხმობთ?***

– გადაწყვეტილება მიღებულია, რომ ეს ჩაიწერება, მაგრამ ღალატი ნამდვილად არის, რომლის სათავეშიც დგას ქართველთმოძულე არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი თამარ ჩუგოშვილი. ადამიანი, რომლის ყველა ნაბიჯი მიმართულია საქართველოს და ქართველობის წინააღმდეგ. ჩუგოშვილს და მის მეგობრებს, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ არიან გაერთიანებულები, აქვთ მეტად მზაკვრული და მოღალატეობრივი გეგმა. მე ორი დღის წინ, ჩემმა ორმა მეგობარმა, ევროპარლამენტის დეპუტატებმა, მაცნობეს მეტად საგანგაშო და საგულისხმო ინფორმაცია.

***– რასთან დაკავშირებით?***

– „ქართული ოცნების“ ლიბერალისტური ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების ამკრძალავი შესწორების ჩაგდებას გეგმავს. მათ აქვთ კულუარული მოლაპარაკებები ვენეციის კომისიასთან, რომ ვენეციის კომისიამ რეკომენდაციებში უარი თქვას ამ შესწორების შეტანაზე და ეს გახდეს საბაბი იმისა, რომ მათ უარი თქვან ამ შესწორების შეტანაზე.

***– ანუ ვენეციის კომისიას გიპირისპირებენ და ეს ინფორმაცია ევროპარლამენტარებმა მოგაწოდეს?***

– დიახ, ნამდვილად ასეა. ორი ევროპარლამენტარისგან მაქვს ეს ინფორმაცია. ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი მართავს ამ მოლაპარაკებებს ვენეციის კომისიასთან.

***– ეს სერიოზული ბრალდებაა ვიცე-სპიკერის წინააღმდეგ.***

– ბრალდება არ არის, ეს არის რეალობა და ეს არის რეალური ინფორმაცია! მას შემდეგ, რაც ვენეციის კომისიას დაადებინებენ დასკვნას, რომ ეს შესწორება არ უნდა შევიდეს კონსტიტუციაში, შემდგომში იტყვიან, რომ ვენეციის კომისიამ აგვიკრძალა და ჩვენ ვერ დავუპირისპირდებოდით მათ და აქედან გამომდინარე ეს შესწორება არ უნდა შევიდესო. აი, ეს არის ღალატის ანატომია!

***– შეძლებთ მათთან დაპირისპირებას?***

– მე მათ ვპირდები, თუკი ეს შესწორება არ შევა ძალაში, ეს 250 ათასი კაცი გამოვა ქუჩაში და გადავალეწავთ პარლამენტის სკამებს! იმ სკამებს, რომლებზეც ჩვენი ხმებით და ხალხის მოტყუებით დასხდნენ! გადავალეწავთ და პირდაპირ ასე დაწერეთ.

***– ანუ თუ კანონში არ ჩაიწერა, აქციებს გეგმავთ?***

– არა მხოლოდ აქციებს ვგეგმავთ, პირდაპირ გამოვათრევთ საკუთარი კაბინეტებიდან. ამ მოღალატეების და ამ ნაძირალების ატანა უკვე აღარ შეიძლება! სწორედ ასეთი ნაძირალების მიერ არის საქართველოში დაარსებული ჯორჯ სოროსის ფონდი, ფონდი ღია საზოგადოება. მისი საქმიანობა აკრძალული უნდა იქნეს, როგორც ანტისახელმწიფოებრივი, როგორც ანტიქართული!



***– თქვენ სოციალურ ქსელში წერდით, ნარკობარიგებს ჩაუვარდათ ხელში ქვეყანაო და რას გულისხმობდით?***

– ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ ნარკოტიკების გამსაღებლებით არის სავსე ჩვენი ქუჩები. თითქმის ყველა ე.წ. ღამის კლუბში იყიდება ნარკოტიკები. მე, ამ მინისტრთა კაბინეტის ყოფილმა წევრმა, გავაკეთე ეს განცხადება და იმის მაგივრად, რომ მსგავს ღამის კლუბებში ნარკოტიკული საშუალებების გასაღება შემწყდარიყო, პირიქით, ახალი ნარკოტიკული ნივთიერება შემოუტანიათ, რომლის მიღების შემთხვევაში, ახალგაზრდებს ეწყებათ ჰალუცინაციები. მივუთითე კიდეც, სადაც იყიდება, მაგრამ რად გინდათ.

***– ანუ ამას ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ?***

– ამას ხელისუფლების მაღალჩინოსნები, უმაღლესი თანამდებობის პირები მფარველობენ. ამას ცალსახად ვაცხადებ. ყველაზე საშინელება ის არის, რომ ახლა ხელისუფლების მხარდაჭერით უნდა გაიმართოს ე.წ. ჯემ ფესტი და მთელი ქვეყნის წამლის ბარიგები ემზადებიან ჯემ ფესტისთვის, სადაც გაიყიდება ყველაზე მეტი ნარკოტიკი. ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკები. ამ დროს კი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები მშივრები კვდებიან.

ქვეყანა წალეკა ნარკოტიკებმა! ეს არ იცის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა და ხელისუფლებამ, რომ ე.წ. ბიოთი, ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკებით ათეულობით ახალგაზრდა რომ დაიღუპა?! მე მაქვს მარტო ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღის წინ ორი გოგონა დაიღუპა სინთეტიკური ნარკოტიკის მიღების შედეგად. ჩვენი შვილების მომავალი ეწირება ვიღაცის ინტერესებს.

***– ეს ვიღაც დიდ ფულს შოულობს?***

– რა თქმა უნდა! ეს არის ათეულობით და ასეულობით მილიონი დოლარის მოგება, რომელიც მიდის მათ ჯიბეებში. ეს არის მომავალი თაობის მიზანმიმართულად მოსპობა!

***– თქვენს განცხადებებს რეაგირება არ მოჰყოლია?***

– დამიკავშირდა ერთ-ერთი ბარის მეპატრონე, ასევე ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და იცით რა მითხრეს?!

***– რა?***

– ჩვენ რომ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება ავკრძალოთ და მსუბუქში ბიოს და სინთეტიკურს გულისხმობენ, ტურისტული სეზონი ჩაგვივარდებაო. ასევე იუთუბზე ჩემი ყველა ბოლოდროინდელი ვიდეო განცხადებები დაიბლოკა. ფეისბუქზე გააკეთეს ჰაკერული შეტევა. დააშინეს სატელევიზიო არხები და ყველგან აკრძალვინეს ჩემი გამოჩენა! ერთ-ერთ ჟურნალისტს ჩემ გამო ეთიკის ქარტიაში იბარებენ, ინგა გრიგოლიაზე მაქვს საუბარი და მგონი ჟურნალისტური საქმიანობის აკრძალვასაც უპირებენ!

თავის დროზე კი მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ისე დააშინეს, რომ იძულებული გამხადეს, მინისტრთა კაბინეტიდან წამოვსულიყავი.

კარგად მომისმინონ სოროსის ლეკვებმა – ეს, რასაც მე ვახორციელებ, არ არის პოლიტიკური ბრძოლა პარლამენტის სკამებისთვის, ეს არის ბრძოლა ჩვენი შვილების მომავლისთვის და საქართველოს გადარჩენისთვის. სანამ სული მიდგეს, თავს შევაკლავ! ვაანონსებ, სულ მალე მოეწყობა მრავალათასიანი მსვლელობა, ქართველთა მარში, რომელიც ყველას მკაცრ და საკადრის პასუხს გასცემს.

# ადვოკატები: „თემურ ბასილიას მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი გადაიხედება“

**ადვოკატები არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას საქმეზე მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურის მხრიდან საქართველოს უზენაესს სასამართლოში გასაჩივრებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებას ეხმაურებიან და სპეციალურ განცხადებას ავრცელებენ.**

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურა და სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში. უკვე 100-მდე მოქალაქე არის ცნობილი დაზარალებულად, რომელთა მიმართაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა არამართლზომიერი ქმედებები, მათ შორის პოლიტიკური მოტივით დევნა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმიანობაში ამ მიმართულებით გარკვეული ხარვეზებია. არადა, ეს გახლავთ ორგანო, ვინც უნდა განიხილოს აღნიშნული საქმეები და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რათა აღდგეს სამართლიანობა სააკაშვილის რეჟიმის დროინდელ უკანონოდ დევნილ პირებზე.

მაგალითად, მიმდინარე წლის 27 იანვარს საქართველოს პროკურატურამ და სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღეს გადაწყვეტილება, მომხდარიყო საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის და პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებული საქმის გადახედვა. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი.

საქართველოს პროკურატურის დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, ეფუძნებოდა საქმეზე ახალ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებსა და ფაქტობრივი გარემოებების ხელახალ, საფუძვლიან შესწავლას. პროკურატურამ და სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაული გამოძიების დეპარტამენტმა დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და, რაც მთავარია, უმაღლესი პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით დაადგინა, რომ თემურ ბასილიას არ ჩაუდენია რაიმე სახის დანაშაული და მის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოტივით დევნას და პოლიტიკურ შურისძიებას, რომლის დროსაც, სააკაშვილის რეჟიმი იყენებდა სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლო სისტემას, როგორც პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტებს.

ამის შემდეგ, როგორც აღნიშნულს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, თემურ ბასილიას განაჩენის გადახედვის საქმე განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

მიუხედავად საქართველოს პროკურატურის მიერ ასე დეტალურად და მაღალი პროფესიული სტანდარტით მომზადებული საქმისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით, დადგენილების განსახილველად დაშვებისა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადახედვის თაობაზე, სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზით, უარი თქვა. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე ნათია ბარბაქაძე, მოსამართლეები მანუჩარ კაპანაძე, ლევან თევზაძე) თავის შეფასებაში აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა ვერ იქნა მიჩნეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებად, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი თემურ ბასილიას მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

პირველ რიგში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არის არაპროფესიული და არაკვალიფიციური. კერძოდ, იგი ეწინააღმდეგება:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველ, მე-2, მე-3, მე-8 და მე-11 მუხლებს;

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და მე-40 მუხლებს;

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5, მე-13, 310-ე, 311-ე, 312-3 და 313 მუხლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ამ დაუფიქრებელი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით, ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, რომ შეწყვეტილიყო თემურ ბასილიას პოლიტიკური მოტივით დევნა, რაც დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის დროს 2005 წლის ზაფხულიდან და დღემდე გრძელდება. ფაქტია, საქართველოს პროკურატურა აცხადებს, რომ თემურ ბასილია არის უდანაშაულო და ითხოვს მისი საქმის გადახედვას, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლო, რომლის უმთავრესი ფუნქცია უნდა იყოს სიმართლის გარკვევა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა, ბლოკავს საქმის განხილვას, არ ცდილობს სიმართლის გარკვევას, თავად არღვევს ადამიანის უფლებებს და აგრძელებს პოლიტიკური მოტივით დევნას. ბუნებრივია, იმ პოლიტიკურ დევნაზე, რაც თემურ ბასილიას მიმართ ამჟამად ხორციელდება, პასუხისმგებლობა ეკისრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს. ასევე, ფაქტია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების თვალში ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები.



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პროკურატურა და სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, ამ ეტაპზეც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ამჟამად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაესს სასამართლოში. იმედი გვაქვს, საქართველოს უზენაესი სასამართლო პასუხისმგებლობით და პროფესიულად მიუდგება აღნიშნულ საქმეს, დროულად და სამართლიანად განიხილავს მას და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც შეწყდება თემურ ბასილიას პოლიტიკური დევნა, მის მიმართ აღდგება სამართლიანობა და მიეცემა მას საშუალება, დაბრუნდეს თავის სამშობლოში, – ნათქვამია ადვოკატების განცხადებაში.

# 2017-2020 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 10 მლრდ ლარამდე დაიხარჯება

2017-2020 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 10 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე, ქვეყნის ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე საუბრისას განაცხადა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა 2500 პროექტის განხორციელებას ითვალისწინებს. ამასთან, მისივე თქმით, მხოლოდ მიმდინარე წელს მილიარდ 260 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო განხორციელდება.

– 2500 პროექტი სტრატეგიულად გულისხმობს 1.000 კილომეტრი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციას, დამატებით 500 ათასი ადამიანისთვის 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფას. ნაგავსაყრელების პრობლემის გადაწყვეტას



მთელ საქართველოში და კიდევ მრავალ მნიშვნელოვან პროექტს.

2.500 პროექტისთვის უპრეცედენტო მოცულობის ინვესტიციას ვახორციელებთ. 2017-2020 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 10 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება. მხოლოდ 2017 წელს მილიარდ 260 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო განხორციელდება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციას მხარში დგომისთვის, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული პროექტების განხორციელება ქვეყანას ახალ ინფრასტრუქტურას, ხოლო ხალხს ახალ სამუშაო ადგილებს და ფინანსურ უზრუნველყოფას მოუტანს.

– რას მოუტანს ახალი სივრცითი მოწყობა ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას? ახალ გზებს, ახალ აეროპორტებს, პორტს, ხიდებს, გვირაბებს, ახალ შესაძლებლობებს. ეს მოგვიტანს ახალ 40 ათას სამუშაო ადგილს, მეტ დასაქმებულს და მეტ შემოსავალს, უფრო ძლიერ ქვეყანას. წარმოდგენილი დეტალური გეგმა საინტერესო და იმედის მომცემი იქნება ჩვენი ხალხისთვის. პროექტები დროშია გაწერილი, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# აჭარაში 28 ხეს კიდევ მოჭრიან

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალწლოვან ხეებს ჭრიან. მოჭრილია წაბლის ხეც, რომელიც წითელ ნუსხაშია შეტანილი.

– ჩვენს წარმომადგენლებს ადგილზე ვერ აჩვენეს დოკუმენტაცია, რის საფუძველზე იჭრება ათეულობით ხე, მათ შორის, წაბლი. როგორც კი გამოვიძახეთ გარემოს დაცვის ინსპექცია, ხეების ჭრის პროცესი შეწყდა, – ამბობს გია აბულაძე, უმაღლესი საბჭოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

ქობულეთის გამგეობის პრესსამსახურში „ბათუმელებს“ უთხრეს, რომ ხეები ნებართვის საფუძველზე იჭრება და სულ 28 ხე მოიჭრება.

– მიმდინარე წლის 29 მარტს კომპანიის მომართვის საფუძველზე, ქობულეთის გამგეობამ შპს „ატუს“ მეგენეიშვილისა და აღმაშენებლის ქუჩებზე მისცა ხეების მოჭრის ნებართვა. კომპანიამ აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა განახორციელოს ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო გახდა ხეების მოჭრა და ტოტების ჩამობელვა. ნებართვის შესაბამისად მეგენეიშვილისა და აღმაშენებლის ქუჩაზე მოიჭრება



22 ძირი კლიპტომერიის, 4 ძირი კიპაროსის და 2 ძირი წაბლის ხე, ხოლო 6 ძირ წაბლის ხეს ჩამობელავენ,“ – აღნიშნულია პრესსამსახურის მიერ გამოგზავნილ წერილობით პასუხში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ამ დროისთვის ანგარიშს გაწეულ საქმიანობაზე საკრებულოს აბარებს. ხეების მოჭრაზე კომენტარს სულხან ევგენიძე მოგვიანებით გააკეთებს.

# ელიავას ბაზრობა შესაძლოა ავჭალისა და მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიტანონ

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაო ჯგუფი მერიას ელიავას ბაზრობის გადატანას სავარაუდოდ, ავჭალის არეალსა და მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სთავაზობს, – ამის შესახებ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაო ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ თანახელმძღვანელმა მერაბ ბოლქვაძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი წლების პერსპექტივაში ელიავას ბაზრობის ტერიტორიას რეკრეაციულ ზონად მოიაზრებს, სადაც ხელოვნების ცენტრის, საგამოფენო დარბაზის, კინოთეატრის ან სხვა იმ ფუნქციის ობიექტების მოწყობის ინიციატივით გამოდის, რომლებიც რეკრეაციული ზონის მნიშვნელობისაა.

მერაბ ბოლქვაძის თქმით, ამ პროცესში ელიავას ბაზრობის მფლობელების ინტერესებიც უნდა იქნას დაცული.

– პარალელურად, ქალაქგეგმარებითი პროექტები დროთა განმავლობაში ვითარდება. ეს არ ნიშნავს, რომ დღესვე მიადგებიან ტრაქტორებით. ჯერ უნდა მომზადდეს ტერიტორია, სადაც ის ადამიანები გადავლენ, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე არიან დასაქმებულები. ორი ასეთი ტერიტორია შეირჩევა, რომელიც შესაბამისად მომზადდება.

ამ ადამიანებსაც უნდა ულირდეთ იქ გადასვლა და თანმიმდევრულად, ნელ-ნელა ეს ტერიტორია რეკრეაციული ფუნქციის გახდება. ამას უნდა გარკვეული დრო. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ქალაქგეგმარებითი პროექტები წლებში ვითარდება. თუ ქალაქს ექნება მიზანდასახულობა, რომ აქ შექმნას რეკრეაციული ზონა, ასევე ჩვენი პროექტიც იქნება განხილვის საგანი, შემდეგ თუკი ეს საზოგადოებრივად იქნება მიღებული, შემდეგ ნელ-ნელა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია, – განაცხადა ბოლქვაძემ.

რაც შეეხება ვადებს, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაო ჯგუფის თანახელმძღვანელის თქმით, ამას მოლაპარაკებების შედეგები აჩვენებს.

– ჩვენი დასახული გეგმის შემდეგ უნდა შედგეს მოლაპარაკებები მფლობელებთან კონკრეტული განხორციელების თვალსაზრისით და მერე უფრო ნათელი იქნება ვადები. სავარაუდოდ, ვთავაზობთ ორ ტერიტორიას – ერთია – ავჭალის არეალი და მეორე – მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორია, დაახლოებით, ასეთი ტერიტორიებია მოძებნილი, თუმცა იქაც მოსალაპარაკებელია კონკრეტულად რა, როგორ და რა ფართობი გამოიყოფა, – განაცხადა ბოლქვაძემ.

როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, გენერალური გეგმის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რეკრეაციულ ტერიტორიად გამოცხადებასთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალური ანგარიში და კონკრეტული მოსაზრებები. მისი თქმით, ეს აუცილებლად დაექვემდებარება შემდგომ განხილვას.

# ჭიაკოკონობაზე ნებისმიერი ტიპის ნარჩენების ღია წესით დაწვა 200-დან 500 ლარამდე დაჯარიმდება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოსახლეობას მიმართავს, ჭიაკოკონობაზე საბურავები და პლასტიკური მასალები არ დაწვან.

როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იუწყება, საქართველოში, ტრადიციულად, აღდგომის წინა ოთხშაბათს ჭიაკოკონობა იმართება.

უწყების ინფორმაციით, კოცონის დასანთებად ავტომობილების საბურავებს და პლასტიკურ მასალებს იყენებენ, შედეგად გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საშიში ტოქსიკური, კარცეროგენული ნივთიერებები და აირები გამოიყოფა. საფრთხე ექმნება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ რიტუალში. შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოსახლეობას მიმართავს, საბურავები და პლასტიკური მასალები არ დაწვან.

– ნებისმიერი ტიპის ნარჩენების ღია წესით დაწვა აკრძალულია და გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 500 ლარამდე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი დააწესებს მკაცრ კონტროლს აღნიშნულ ქმედებაზე და ყველა დამრღვევის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ ზომებს გაატარებს, – ნათქვამია განცხადებაში.

# ბრავო კოდუებო, ანუ წაგებული პროცესით მოგებული მილიონები

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ჟურნალისტის სიტყვას ფასი ჰქონდა. სიტყვა „ქმედითობაც“ აღარაა მოდაში. მედიის „როლზე“ რა მოგახსენოთ და მისი ფასი და დანიშნულება ხომ „სკანდალსა“ და „კურიოზს“ თუ არ ეხება საქმე – კაპიკია!

არა, ბატონო ჩემო! პესიმიზმი და ხელების ჩამოშვება არაფერ შუაშია აქ. ნათქვამს ბევრად საყურადღებო მიზეზი აქვს! იმდენი იწერება, უკვე „ქრონიკულ გრიპად“ ქცეულ დანაშაულზე, ჩინოვნიკების საეჭვო პროფესიონალიზმზე, პროფესიულ გადაცდომასა თუ სამსახურებრივ გულგრილობაზე, რომ ყველაფერზე პასუხის გაცემას, რაც გვაქვს, ერთი იმხელა სახელმწიფო აპარატიც შეიძლება ვერ აუვიდეს! ეს ერთი დიდი და მრავლისმეტყველი მიზეზია. აქედან გამომდინარე რეალობა კი – საგანგაშო!



აბა, რატომღა იკლავთ თავსო – იკითხავს მავანი?!

ჩვენი საქმე წერაა და იმიტომ! მართალია, ნამდვილი სკანდალი ხშირად გვერდით რჩება ჩვენს ზოგიერთ კოლეგას, მაგრამ ყველაზე სუბიექტური მედიაც სახელმწიფოს სარკე და ანარეკლია!

დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ვწერდით, რომ დასასჯელებისადმი დღევანდელი, გაუგებარი „ტოლერანტობის“ ფონზე, სახელმწიფოს შენება უფრო და უფრო გვიჭირს. იქ, სადაც დანაშაული არ ისჯება – კანონი არ კანონობს! სადაც კანონი არ კანონობს, იქ არც სახელმწიფოა! ჰოდა, გავჩერდეთ?

ესეც პასუხი კითხვაზე – რატომღა იკლავთ თავსო?!

არც ამ თემაზე საუბრის შემდეგ გასულა ძალიან დიდი დრო.

2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველო“-ში შპს „მასვალო“-ს და ს.ს. „მასპინძელს“ ფინანსური პოლიცია და მაშინდელი სოდი მიადგა და ობიექტზე რვათვიანი რევიზიით ჩაჯდა. შესვლის მიზეზი რომ მხოლოდ ფინანსური რევიზია არ იყო, მოგვიანებით, ზაფხულში „გაამხილეს“, როცა სოდ-ის უფროსის, ერეკლე კოდუას ძმა დავით კოდუა და დედა ლაურა ლაჭავა აქაურ დამფუძნებლებს „პოტენციურ“ მყიდველებად მოევლინნენ. ლაურა ლაჭავამ „მოახერხა“ და შპს „საქართველო“-ში ორი წლის ბრძოლის შემდეგ მფლობელად დარეგისტრირდა, მაგრამ ამ ყველაფერს „წილების დათრევის“ ჩვეული მეთოდი უძღოდა წინ: დააპატიმრეს რამდენიმე გასხვისებაზე გაჯიუტებული ქონების მფლობელი და დამფუძნებელი. დანარჩენებს სოდ-მა შეუზღუდა საქმიანობა. გათვლა მარტივი იყო: როცა იძულებით გაჩერებული საწარმო არც ბიუჯეტს აძლევს რამეს და არც ოჯახში შედის კაპიკი, პატრონი იძულებული ხდება, ან ყველაფერზე თქვას უარი, ანდა „მყიდველის“ შემოთავაზებულ კაპიკებს დათანხმდეს. ასეც მოხდა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. 2007 წლიდან დღემდე მთლიანად განიავდა აქაური ქონება. მოძალებულმა ფინანსურმა ვალდებულებებმა პრობლემას პრობლემა მიამატა. ოჯახურმა კლანმა „პარტნიორები“ აიძულა, მის სასარგებლოდ დაეთმოთ აქამდე შემორჩენილი წილები, რის შემდეგაც შპს „საქართველო“-ს მართვის საკონტროლო პაკეტი – 89% მათ ხელში აღმოჩნდა. დარჩენილი, გურამ ახრახაძის კუთვნილი წილი დიდად აღარ აღელვებთ. გაყიდვის შემთხვევაში 89%-ის მფლობელი ახალი პარტნიორი მას ძალზე იოლად „დაითრევს“ – თუნდაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პარტნიორი ან სულ დაკარგავს, ანდა იმ 11%-ის გასხვისებას დაყაბულდება. ესეც წინასწარ „სწორად“ გათვლილი და გააზრებულია.

სხვათა შორის, ეს ის გურამ ახრახაძეა, რომელმაც წლების მანძილზე საკუთარი ფირმის შესახებ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფმა, საჯარო რეესტრში გაარკვია, რომ 2013 წლის 4 ნოემბერს შპს „საქართველო“-ს კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად, ქალბატონ ლაჭავას ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით, მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართუ ბანკიდან“ მიღებული 8,5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ.

აი, ამის შემდეგ დაიწყო ის, რასაც ჩვენ „სკანდალს“ ვუწოდებთ, მაგრამ თავისი არსით კომიზმსაც რომ სცდება. სხვადასხვა ინსტანციის 12 სასამართლოსა და, რაც მთავარია, სააპელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველო“-ს აუქციონზე გატანა შეაჩერა. მანამდე კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი! ძალზე საინტერესო ის არის, რომ „ბანკი ქართუ“-დან მიღებული ფული ლაურა ლაჭავას იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონების „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“ გამოსასყიდად სჭირდებოდა. მიიღო კიდეც, ოღონდ ისე, რომ ამ თანხიდან შემდგომში შპს „საქართველო“-ს ერთი თეთრიც არ მოხმარებია. დღემდე არც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაძრულა ადგილიდან. მთელი ამ საქმის კომიზმი კი (თუმცა, სასაცილო ნამდვილად არაფერია) იმაშია, რომ სასამართლოში ჩივილით გურამ ახრახაძე უნებლიეთ თავისი ქონების უკანონოდ დამგირავებლის ლაურა ლაჭავას „მოკავშირედ“ და მხსნელად იქცა! (?!) როგორ და, ახრახაძის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, როცა იგი დაზარალებულად ცნეს (მისი წილი ქონება მისი ნებართვის გარეშე დაყადაღდა), „ბანკ ქართუ“-ს ლაჭავას ვალის გადაუხდელობის გამო, ქონების ჩამორთმევაზე აღსრულება შეუჩერდა!

არ ვიცი, სხვაგან თუ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც სასამართლომ (ობიექტურად და კანონიერად) ერთი გადაწყვეტილებით შეიძლება „დაიცვას“ დაზარალებულიც (გურამ ახრახაძე) და მისი დამზარალებელიც (ლაურა ლაჭავა და დავით კოდუა)! (?!) ალბათ არა, და იცით რატომ? ასეთ ლაფსუსამდე ნორმალურ ქვეყნებში საქმე არ მიდის. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი რამ თავში აზრად არავის მოუვა და იმიტომ! იქ, სადაც სახელმწიფოა, ვერც წილს „აახევ“ დაუსჯელად ვერავის და არც ქონების დაგირავების უფლებას მოგცემს ვინმე მოწილესა და პარტნიორის ნებართვის გარეშე!

ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს, მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, რომ იმ განუკითხაობის ფონზე, საქართველოში რომ „წილის ახევა“ ერქვა, ასეთი ფაქტები ჩვეულებრივი ამბავია!

ახევა – ახევად, მაგრამ ის „ლაფსუსი“ ვისი ბრალია, რაც „ბანკ ქართუ“-ს მესვეურებს მოუვიდათ? გასაგებია, რომ 2010 წელს ბანკს თავისი გაჭირვება ჰქონდა, მისი „გაკოტრების პროგრამას“ მაშინდელი ხელისუფლება მიზანმიმართულად იწყებდა. არც შედეგი იქნებოდა სახარბიელო, რომ არა 2012 წლის მოვლენები. „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“-ს „ქართუ“-დან შპს „საქართველო“-ს დაიპოთეკებით გამოსყიდვამ, მაშინ ბანკს ზედმეტი თავის ტკივილი ააცილა, ლაჭავას დროებით შეღავათი მისცა. ლაჭავა გასაგებია, მაგრამ ბანკის უპასუხისმგებლობით რომ ახრახაძე დაზარალდა, ამაზე პასუხი არავის უგია. არა, პიროვნულად არავის უგია, თორემ ამ „ძალიან ნიჭიერმა“ საქციელმა „ბანკი ქართუ“ სასამართლოსგან შეჩერებული აღსრულების გამო, თითქმის მილიონით აზარალა. მოგებული ისევ ლაურა ლაჭავა დარჩა. დიახ, გურამ ახრახაძის საჩივარმა აღსრულება შეაჩერა და როგორც ერთხელ ვთქვი: სანამ ჩვენ აქ ვერთობით, ლაჭავამ შპს „საქართველო“ შეიძლება გაასხვისოს კიდეც.

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ასეთი უპასუხისმგებლობისა და ყოვლად გაუმართლებელი ზარალისთვის „ქართუს“ თავისი პატრონისაგან სერიოზული უსიამოვნება და რისხვა დაატყდა თავს, მაგრამ ეს გურამ ახრახაძისთვის დიდი შეღავათია, ვითომ?!

მოგებული დარჩა ადამიანი, რომელმაც სხვისი ქონება გამოძალვა-შანტაჟით დაისაკუთრა! რომელმაც ამ ქონებით ადრე დაგირავებული ქონება დაიბრუნა და რომელიც „ბანკი ქართუ“-ს შესაშურად გააზრებული საქციელისა და თავისი „პარტნიორის“ იძულებითი ნაბიჯის გამო, ახლა ისევ „კანონით“ ნაბოძები სხვისი ქონების გაყიდვით აპირებს მილიონების „პრავად“ შოვნას და მართლა კაცი და კანონი არ არის მისი გამჩერებელი!

შედეგი?

ლაჭავა მილიონებს ჩაიჯიბავს, „ქართუ ბანკი“ ობიექტის გაყიდვის შემდეგ თავისას დაიბრუნებს, მხოლოდ გურამ ახრახაძეა ის ერთადერთი, რომელიც სასამართლო პროცესის მოგების გამო დარჩა წაგებული? (?!)

აი, რატომ გვიჭირს ხოლმე სახელმწიფოზე საუბარი.

ანდა სად, ვის და როგორ გინდა აუხსნა, რანაირად დარჩა წაგებული ის, ვინც სასამართლო დავა მოიგო?! ვერ გაიგებენ, ვერ მიხვდებიან, რადგან ასეთ რამეს შემდგარ სახელმწიფოში ვერავინ წარმოიდგენს!

ვინ იცის, კითხულობს ვიღაც ახლა ამ ყველაფერს და კბილების კაწკაწით ელოდება, როდის მივადგები ხმალამოღებული „მთავარ სათქმელს“ და ქვეყანაში „დღევანდელი, გაუსაძლისი მდგომარეობის „მთავარ შემოქმედს“! იქნებ ასეც მოვქცეულიყავი, რომ არა ის, რაც უკვე ითქვა: სადაც დანაშაული არ ისჯება, იქ კანონი არ კანონობს! სადაც კანონი არ კანონობს, იქ სახელმწიფოც და მისი ინსტიტუტებიც ქიმერა და ფიქციაა!

რეალური მხოლოდ აქ მოთხრობილი და მისი მსგავსი არაერთი ფაქტია ჯერჯერობით! რეალური და საგანგაშო ის კრებითი სახელია, ქალბატონ ლაურა ლაჭავასა და კოდუების ფენომენი რომ ჰქვია, რომლებიც იძულებულს გვხდიან ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოდ ქცევამდე ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს!

ასეა და ასეთად მიგვაჩნია მთელი ამ დავიდარაბის ნამდვილი მიზეზი – თავისი სარკასტულობის გამო მწარე ღიმილის მომგვრელი და სინამდვილეში ძალიან არასახუმარო.

ვისაც სახელმწიფო უნდა, ის ამ საქმეს ასე შეხედავს: გურამ ახრახაძეს (და არა მარტო მას) კანონმა უნდა დაუბრუნოს დაკარგული უფლება და ქონება არა ვიღაცის კეთილმა ნებასურვილმა! ეს უკანასკნელი ქველმოქმედების დროსაა კარგი და სასიამოვნო!

ჩვენს სიტყვას და პუბლიკაციასაც ფასი მაშინ დაედება, როცა ქვეყანას სახელმწიფო დაერქმევა!

ბოლოს მაინც უნდა ვთქვა!

ბრავო, კოდუებო!

მერაბ გუგუნაძე

®

# უჩა ნანუაშვილი: „სახელმწიფო არ არის მზად, გაუმკლავდეს მსგავს კრიზისს“




2016 წელს, წინა წელთან შედარებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კვლავ უფრო მეტად იქცა თავდასხმის ობიექტად, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

უჩა ნანუაშვილის თქმით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით გახშირდა ჩადენილი დანაშაულები, ხოლო მათ გამოსაძიებლად და მათ დასასჯელად მთლად ადეკვატური ღონისძიებები არ ყოფილა გატარებული შესაბამისი უწყებების მიერ.

– 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კვლავ უფრო მეტად იქცა თავდასხმის ობიექტად. ფაქტია ის, რომ გახშირდა ამ მიმართულებით ჩადენილი დანაშაულებები და ჩვენი შეფასებით, მათ გამოსაძიებლად და მათ დასასჯელად მთლად ადეკვატური ღონისძიებები არ ყოფილა გატარებული. ამ არასაკმარისმა რეაქციამ კი დაუსჯელობის სინდრომი კიდევ ერთხელ უფრო გაამყარა. 2016 წლის 11 მარტიდან 13 ივნისამდე პერიოდში სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით ინტენსიურად ვრცელდებოდა სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერები, რამაც საზოგადოების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიების ფარგლებში არაერთი მოქმედება ჩაატარა და პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონო მოპოვებისა და შენახვის ბრალდებით რამდენიმე პირი მისცა პასუხისგებაში, თუმცა აღნიშნული მასალის გამავრცელებლების ვინაობა საბოლოოდ კვლავ უცნობია, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

* * *

2017 წლის 11-12 მარტს, სამართალდამცავთა სწრაფი და ეფექტური რეაგირების ნაკლოვანებები ბადებს ვარაუდს, რომ სახელმწიფო არ არის მზად, გაუმკლავდეს მსგავს კრიზისს, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

სახალხო დამცველმა საკუთარი ანგარიშის წარდგენისას პარლამენტში ბათუმში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საჭიროა გაანალიზდეს აღნიშნული ნაკლოვანებები და შეფასდეს, რამდენად არის მზად ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურები და სამართალდამცავი სისტემა, დროულად და ეფექტურად გაუმკლავდეს მსგავს კრიზისს.

– 11-12 მარტს განვითარებული მოვლენები ბათუმში, პროტესტი, რომელიც არასწორი პარკირებისთვის ჯარიმის გამოწერით დაიწყო, ძალიან მალე გასცდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გადაიქცა და გადაიზარდა ძალადობასა და დაპირისპირებაში. აღნიშნულ პროცესში, ჩვენი შეფასებით, სამართალდამცველების მხრიდან რეაგირება არ იყო დამაკმაყოფილებელი.

დემონსტრაციის მონაწილეები თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ანადგურებდნენ ქონებას, აზიანებდნენ ქალაქის ინფრასტრუქტურას ხოლო პოლიცია არავითარ რეაგირებას არ ახდენდა რამდენიმე საათის განმავლობაში.

სამართალდამცავთა სწრაფი და ეფექტური რეაგირების ნაკლოვანებები ბადებს ვარაუდს, რომ სახელმწიფო არ არის მზად, მსგავს კრიზისს გაუმკლავდეს. შესაბამისად, საჭიროა გაანალიზდეს აღნიშნული ნაკლოვანებები და შეფასდეს, რამდენად არის მზად ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურები და სამართალდამცავი სისტემა, დროულად და ეფექტურად გაუმკლავდეს მსგავს კრიზისს.

არსებობს თუ არა ეფექტური რეაგირების გეგმა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოვლენების პრევენცია და დაძაბული ვითარების განმუხტვა, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

## ავტოსაგზაო შემთხვევაში შსს-ს ავტომანქანაც ფიგურირებს




მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მომხდარი ავარიის დროს შსს-ს ავტომანქანაც დაზიანდა.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, პირველადი ინფორმაციით, ერთმანეთს „ბე ემ ვეს“ და „მერსედესის“ მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ, რის შემდეგაც ერთი ავტომობილი შსს-ს ავტომობილს შეეჯახა.

უცნობია, დაშავდნენ თუ არა შს კუთვნილ ავტომობილში მყოფი პირები.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ერთმანეთს სამი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროს პრესცენტრში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს.

## უბედური შემთხვევა ჭიათურაში — სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშა დაიღუპა




ჭიათურაში სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში მუშა კიბიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევას ითვალისწინებს.

## კოტე აფხაზის ქუჩაზე ხის მოტეხვამ რამდენიმე ავტომობილი დააზიანა



კოტე აფხაზის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა აღდგენილია. ქუჩის გადაკეტვა ხის მასიური ტოტის სავალ ნაწილზე ჩამოვარდნამ გამოიწვია. შემთხვევის შედეგად დაზიანდა რამდენიმე ავტომობილი. მოტეხილი ტოტის დამუშავება და ტერიტორიიდან გატანა სამაშველო სამსახურისა და „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით უზრუნველყვეს. ადგილზე იმყოფებოდა კრწანისის გამგებელი, გიორგი კოპალეიშვილი.

## გიორგი ფანცულაია: „შორენას სადაქალო“ ერთი და იგივე ტექსტით ჩვენებაში ამბობს — „რა კარგი და კეთილი ქალია შორენა“



ციანიდის საქმეზე პროკურატურამ საპატრიარქოს სამდივნოს თანამშრომლები დაკითხა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ განუცხადა. მისი ინფორმაციით, პროკურატურიდან საქმის ახალი მასალები ცოტა ხნის წინ მიიღო, სადაც ახალი მოწმეების დაკითხვის ოქმები და ექსპერტიზის დასკვნებია.

– „შორენას სადაქალო“ ერთი და იგივე ტექსტით ჩვენებაში ამბობს – „რა კარგი და კეთილი ქალია შორენა“. საინტერესო ფაქტია ის, რომ ეტყობა, ჩვენება ყველას დაზეპირებული აქვს, რადგან სიტყვასიტყვით ერთმანეთს ჰგავს ჩვენებები და საუბრობენ ერთნაირი ტერმინოლოგიით. გარდა ამისა, განმეორებითაა დაკითხული საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ირმა ჭკადუა. მისი ახალი ჩვენება პირველთან შედარებით შინაარსობრივად შეცვლილი არაა, თუმცა გარკვეულ დეტალებში ცვლილებები არის. არსობრივი და რადიკალური ცვლილება მის პირველ და მეორე ჩვენებებს შორის არაა, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მისივე თქმით, საქმის ახალი მასალების თანახმად ჩატარებულია რამდენიმე ექსპერტიზა დეკანოზ გიორგი მამალაძის კუთვნილ ტექნიკურ საშუალებებზე და მას გადაეცა ამ ექსპერტიზის დასკვნები.

## დეკანოზ გიორგი მამალაძის სახელით სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი გაიგზავნება




დეკანოზ გიორგი მამალაძის სახელით სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი ამ კვირაში გაიგზავნება. სარჩელის დეტალები დეკანოზთან მისმა ადვოკატებმა და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტებმა დღეს შეათანხმეს.

დეკანოზი სარჩელით ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას ასაჩივრებს, რომლითაც დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.

როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა ეკა ლომიძემ აღნიშნა, საჩივრის გაგზავნა მას შემდეგ გადაწყდა, რაც პროკურატურამ დაცვის მხარეს კიდევ ერთხელ უთხრა უარი გაუთქმელობის პირობის მოხსნაზე.

– ველოდებით, რომ ევროპული სასამართლო იქნება უფრო მეტად ადეკვატური, ვიდრე პროკურატურა, რომელიც იმ პირობებში, როდესაც თვითონ შერჩევით ასაჯაროებს მტკიცებულებებს და აქვს მტკიცებულებების გამოქვეყნების შეუზღუდავი შესაძლებლობა, დაცვის მხარეს არ აქვს საშუალება, ამოირჩიოს მტკიცებულებები, დაკითხოს მოწმეები ან თუნდაც ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა. შესაბამისად, დაიცვას ბრალდებულის ინტერესები მაქსიმალურად, – განაცხადა ლომიძემ.

მისივე თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძესთან შეთანხმდა ის დეტალები, რომელზეც სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივარი დგება.

## „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებისთვის პროკურატურის მიერ შეთავაზებული საპროცესო შეთანხმების პირობები მიუღებელია




„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებისთვის პროკურატურის მიერ შეთავაზებული საპროცესო შეთანხმების პირობები მიუღებელია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის ადვოკატმა, მარიამ ცუცქირიძემ განუცხადა, პროკურატურის ბოლო შეთავაზებაა, რომ „ცენტრ პოინტმა“ უნდა დაიწყოს მშენებლობები, დაზარალებულთა დაკმაყოფილება და ამის შემდეგ გადაწყდება კომპანიის ქონებისთვის ყადაღის მოხსნა.

– ეს მიუღებელია დაცვის მხარისთვის. გამოდის, რომ პროკურატურა ერთს ლაპარაკობს საჯაროდ, საზოგადოებისთვის, ხოლო მეორეს გვთავაზობს ჩვენ, – განაცხადა მარიამ ცუცქირიძემ.

ადვოკატის თქმით, ამის მიუხედავად, მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება, თუმცა ჯერჯერობით არავითარი სიახლე საპროცესო შეთანხმების კუთხით არ არის.

მისივე თქმით, საპროცესო შეთანხმების ყველაზე მისაღები პირობა ჯერ კომპანიის ქონებისთვის ყადაღის მოხსნაა, რასაც, საბოლოო ჯამში, მშენებლობების დასრულება და დაზარალებულების დაკმაყოფილება მოჰყვება.

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს იგოეთის განყოფილების თანამშრომლებმა 1968 წელს დაბადებული თ.მ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 2 შეკვრად დაფასოებული 22,83 გრამი კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 1,7271 გრამ ჰეროინს შეიცავს.

–ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თ.მ. დაკავებისას ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით)“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## გურჯაანში 24 წლის გოგოს მოტაცების ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა



გურჯაანში 24 წლის გოგოს მოტაცების ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს.

როგორც უწყებაში განმარტეს, 24 წლის გოგოსთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით დაკავებული დანაშაულს აღიარებს. გატაცებული და გამტაცებელი პოლიციამ ცოტა ხნის წინ იპოვა.

24 წლის გოგო გურჯაანში 27 წლის მამაკაცმა მოიტაცა. ცნობილია, რომ გატაცებულმა გოგონამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე სამართალდამცავებს მიმართა და განაცხადა, რომ აღნიშნული პირი მას ავიწროვებდა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# დიდმა შვიდეულმა რუსეთს კიდევ ერთი შანსი მისცა



იტალიის ქალაქ ლუკაში დიდი შვიდეულის სამიტი გაიმართა. განხილვის ძირითადი საგანი სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის გამოსვლა კატეგორიული ტონით გამოირჩეოდა. მან რუსეთის მიმართ ახალი სანქციების დაწესება მოითხოვა, რასაც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯონსონმა მხარი დაუჭირა.

იტალიამ და გერმანიამ ეს არ გაიზიარეს.

— მოსკოვის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებით რუსეთს კუთხეში მივიმწყვდევთ, ეს კი არასასურველია, — განაცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალფანომ.

ამავე დროს, სამიტის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ სირიის დიქტატორი ასადი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს. სამიტის მონაწილენი თვლიან, რომ პუტინმა უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა სირიაზე და ასადის გადადგომას ხელი შეუწყოს.

— იმედი გვაქვს, რომ ეს ასეც მოხდება, — თქვა ალფანომ.

სამიტის მონაწილეებმა დონბასში შექმნილი მდგომარეობაც განიხილეს.

დიდი შვიდეულის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთმა მინსკის შეთანხმებები უნდა შეასრულოს, გაიყვანოს ჯარი დონბასიდან, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინას გადასცეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს ეკისრება.

დასასრულ გამოთქმულია იმედი, რომ მოსკოვი ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს და დასავლეთის სრულუფლებიანი პარტნიორი გახდება. დიდმა შვიდეულმაც ახალი სანქციების შემოღებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა.

დიდმა შვიდეულმა რუსეთს უკანასკნელი შანსი მისცა.

# ტრამპმა მონტენეგროს ნატოში შესვლას მხარი დაუჭირა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა პროტოკოლს მონტენეგროს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კიდევ ერთი წევრი შეემატება.

— მონტენეგროს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მისი ნატოსთან შეერთებით ალიანსი კიდევ უფრო გაძლიერდა, — განაცხადა ტრამპმა.

მონტენეგროს ნატოში გაწევრიანების პროტოკოლს ტრამპმა ხელი იმ დღეს მოაწერა, როცა სახელმწიფო მდივანი ტილერსონი მოსკოვში ჩავიდა.

# ტურჩინოვი: „უკრაინის სარაკეტო ფარის აღდგენა წარმატებით მიმდინარეობს“



უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა განაცხადა, რომ ქვეყნის სარაკეტო ფარის აღდგენა წარმატებით მიმდინარეობს.

მან მადლობა გადაუხადა უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში დასაქმებულ ადამიანებს და აღნიშნა, რომ მათი წვლილი უკრაინის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში განუზომელია.

— ჩვენი ჩრდილოელი მეზობელიც ხედავს, რომ უკრაინას ბრძოლა შეუძლია, ამიტომაც ფართომასშტაბიანი ინტერვენციისგან თავს იკავებს, — თქვა ტურჩინოვმა.

# მაკეინი სარაევოში ჩავიდა



სენატორი ჯონ მაკეინი ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში ჩავიდა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ დეიტონის შეთანხმებებმა ბოსნიაში მშვიდობის დამყარება განაპირობა. უკანასკნელ ხანს რუსეთი ბალკანეთზე მკვეთრად გააქტიურდა. მოსკოვის აგენტურა ცდილობს, ბოსნია-ჰერცეგოვინის საშინაო საქმეებში ჩაერიოს, ეს კი საომარი მოქმედებების განახლების საშიშროებას ქმნის.

— რუსეთი მთელს რეგიონს საფრთხეს უქმნის, — განაცხადა მაკეინმა.

# ლუკაშენკო რუსეთს მხარს უჭერს




ბელრუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ რუსეთს მხარი დაუჭირა.

ლუკაშენკომ რუსული პროპაგანდის თეზისი კვლავ გაიმეორა და განაცხადა, რომ ამერიკელებს მსოფლიო ბატონობა სურთ.

— მსურს ამერიკელებს ვურჩიო, რომ მადა დაიოკონ, — განაცხადა ალექსანდრ გრიგორიევიჩმა.

ლუკაშენკო სირიის ავიაბაზაზე ამერიკელების დარტყმასაც შეეხო.

— ასეთი ქმედებები მშვიდობას საფრთხეს უქმნიან, — ამბობს ბელარუსის პრეზიდენტი.

# დაღესტანში შეტაკებები არ წყდება

დაღესტანში გრძელდება შეტაკებები რუსეთის ფედერალურ ძალებსა და პარტიზანებს შორის.

მახაჩყალიდან 20 კმ-ის დაშორებით მომხდარი შეტაკებისას არის მსხვერპლი. მოკლულია 3 პოლიციელი და 4 პარტიზანი.



რესპუბლიკაში კვლავაც დაძაბული მდგომარეობაა.

# ლე პენი მაკრონს დაეწია




მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ საფრანგეთში ძალთა განლაგება კიდევ ერთხელ შეიცვალა.

ემანუილ მაკრონმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ლიდერობდა, პოზიციები დათმო. ახლა მას მხარს ამომრჩეველთა 24% უჭერს.

ამდენივე მომხრე ჰყავს ულტრა-მემარჯვენე ნაციონალური ფრონტის ლიდერს მარინ ლე პენსაც.

აღსანიშნავია ულტრა-მემარცხენე კანდიდატის, მენშონის პოპულარობის ზრდა. ის საფრანგეთის ნატოდან გასვლას, ყირიმის რუსეთთან შეერთების კანონიერების აღიარებას და მოსკოვთან მეგობრობას მოითხოვს.

საფრანგეთის ხელისუფლებაში პროპუტინური ძალების მოსვლის საფრთხე რეალურია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჩინელმა ქალმა საყვარელი ძაღლის გამო მანქანები დაწვა



ჩინეთის ცზილინის პროვინციის ქალაქ ჩანჩუნში ქალმა ცხრა თეთრი ფერის ავტომობილი თავისი საყვარელი ძაღლის ავტომობილის დაჯახების შედეგად დაღუპვის შემდეგ დაწვა.

აღნიშნული შემთხვევა 30 მარტის ღამეს მოხდა, თუმცა ამის შესახებ ცნობილი მხოლოდ ახლახან გახდა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, 45 წლის ქალი შეეცადა ასეთი სახით ეძია შური თავისი საყვარელი ცხოველის დაღუპვისთვის, რომელიც თეთრი ფერის ავტომობილის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. ქალმა ზუსტად არ იცოდა, თუ რომელი მეზობლის მანქანამ იმსხვერპლა მისი ძაღლი.

მისმა მეზობლებმა განაცხადეს, რომ ქალს თავისი განზრახვის განხორციელებაში ხელი შეუწყო საცხოვრებელი კომპლექსის ეზოს სუსტმა განათებამ და ვიდეოსათვალთვალო კამერების არ არსებობამ. ქალი დაკავებულია, პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

- პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს ფუტსალის ნაკრები პლეი ოფში გავიდა

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის საგზური მოიპოვა. კიდევ 2 მატჩი და დიდი შანსია ჩვენები ფინალურ ეტაპზე ვიხილოთ. ეს ყველაფერი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ფუტსალის ევროპის ჩემპიონატის მეინ რაუნდის დასკვნითი სათამაშო დღეს გაირკვა.

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა პირველი შეხვედრა ჰოლანდიის წინააღმდეგ გამართა და ფრედ 1:1 ეთამაშა. ანგარიში მე-6 წუთზე არჩილ სებისკვერაძემ გახსნა. მეტოქემ წონასწორობის აღდგენა 27-ე წუთზე მოახერხა.

ამავე დღეს იტალიამ 2:1 მოუგო ბელარუსს.

მეორე შეხვედრა სწორედ ბელარუსებთან გვქონდა და კვლავ ფრე – 1:1. ანგარიში აქაც ჯვაროსნებმა გახსნეს – უძლიერესი დარტყმით გოლოვნიოვის კარი რონინიომ აიღო. მეტოქემ გათანაბრება რამდენიმე წამში მოახერხა, გოლი ჩერნიკის ანგარიშზეა.

იტალიამ კი ისევ იმარჯვა – ამჯერად ჰოლანდია დაამარცხა 4:2.

იტალიელთა ორმა მოგებამ შანსი გაგვიჩინა. მთავარი იყო ბოლო ტურში უკვე ფინალურ ეტაპზე მყოფი იტალიელების დამარცხება, მაგრამ ბელარუსსა და ჰოლანდიის ნაკრებებს შორის ფრედ (3:3) დასრულებულმა შეხვედრამ კიდევ ერთი ვარიანტი დაგვიტოვა – აპენინელებთან ფრეც ჩვენ სასარგებლოდ ითვლებოდა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე 10 წუთით ადრე იტალიელები რომანოს გოლით დაწინაურდნენ. მალევე, ბონავენტურას გოლით იტალიამ სხვაობა 2 ბურთამდე გაზარდა, თუმცა შესვენებამდე 4 წუთით ადრე, ერკოლესის ავტოგოლის შემდეგ სხვაობა შემცირდა და შესვენებაზე ერთბურთიანი ჩამორჩენით გავედით.



მეორე ტაიმის დაწყებიდან 5 წუთში იტალიელთა მეკარემ კაკაბაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო და ანგარიში გათანაბრდა – 2:2.

დარჩენილ წუთებში ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, განსაკუთრებით სახიფათო იტალიელთა შეტევები იყო, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა.

იტალიის ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილით ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, ხოლო საქართველოს ნაკრები პრესტიჟულ ტურნირზე მოსახვედრად პლეი ოფში ითამაშებს, რომელიც სექტემბერში გაიმართება და 2 – გასვლითი და საშინაო შეხვედრისგან შედგება.

საქართველოს ნაკრებთან ერთად პლეი ოფში მოხვდნენ: უნგრეთი, ხორვატია, რუმინეთი, სერბეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და საფრანგეთი.

სწორედ ხსენებული შვიდი გუნდიდან ერთ-ერთი იქნება საქართველოს ნაკრების მეტოქე. პლეი ოფის წილისყრა 6 ივლისს გაიმართება, მატჩები კი – 10-13 და 24-27 სექტემბერს. ორმატჩიან დაპირისპირებაში გამარჯვებული გუნდები ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა იაპონია დაამარცხეს და ფინალში ფრანგებს ხვდებიან



**საქართველო-იაპონია 42:17**

საქართველოს 18 წლამდე ნაკრებმა 2017 წლის რაგბი ევროპის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში იაპონია 42:17 დაამარცხა და ტურნირის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა.

მატჩმა ქარის ფონზე, მაგრამ სასიამოვნო ატმოსფეროში და დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. აზიელები წარმატების შანსს 55-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ (ამ ასაკში თამაში 70 წუთს გრძელდება), მაგრამ დასკვნით წუთებში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მეტოქე საბოლოოდ გატეხეს და მატჩი სასურველ შედეგამდე მშვიდად მიიყვანეს – 42:17.

ამრიგად, 15 აპრილს საფრანგეთს ზედიზედ მესამედ ფინალში ვეთამაშებით, რომელმაც პორტუგალია 47:0 დაამარცხა.

# ქუთაისმა ბათუმს მოუგო და მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო

**ქუთაისი-ბათუმი 81:79**

(30:18, 18:23, 13:17, 20:21)



სუპერლიგის 26-ე ტური ქუთაისში დაიწყო. იმერულმა კლუბმა დასავლურ დერბიში ბათუმს უმასპინძლა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 81:79 სძლია.

ქუთაისელებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს, თუმცა წაგებას გადაურჩნენ. არადა, მეორე პერიოდში მასპინძლებმა 17-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს (37:20) და თითქოს საფრთხეც არ ემუქრებოდათ, თუმცა სუპერლიგის ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფმა ბათუმმა ბოლომდე იბრძოლა. ჯერ კიდევ დიდ შესვენებამდე სხვაობა 7 ქულამდე დავიდა, მე-3 მეოთხედში კი ზღვისპირელებმა მასპინძელთა უპირატესობა 3 ქულამდე შეკვეცეს და ბრძოლას ინტრიგა მისცეს.

მეტიც, მატჩის ბოლოსწინა წუთზე ზღვისპირელები 4 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს. ბოლო წუთი დაიწყო და გიორგი ბარბაქაძემ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო საპასუხო შეტევაში ბათუმელთა უკანახაზელმა ბესო ლეჟავამ სამქულიანი ააცილა. შეხვედრის დასრულებამდე 8 წამით ადრე გიორგი ცინცაძემ საჯარიმო სროლებით 81:79 დააწინაურა ქუთაისი, ბოლო წამზე კი, ილია შემოსიუკმა სამქულიანი ააცილა და მასპინძელთ გამარჯვებაც დაფიქსირდა.

ქუთაისელებს 29 ქულით გიორგი ცინცაძემ ულიდერა. ამდენივე ქულა დაუგროვდა ბათუმელ კახა ჯინჭარაძეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 25 | 23 | 22191-1772 | 48 | 5.ბათუმი | 26 | 9 | 171994-2095 | 35 |
| 2.ქუთაისი | 26 | 19 | 72094-1958 | 45 | 6.სოხუმი | 25 | 9 | 161994-2133 | 34 |
| 3.რუსთავი | 25 | 13 | 121974-1995 | 38 | 7.ოლიმპი | 25 | 9 | 161817-1869 | 33 |
| 4.კაკტუსი | 25 | 11 | 141984-2105 | 36 | 8.მგზავრები | 25 | 8 | 171849-1970 | 33 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

# ქართველი წყალბურთელები იტალიასთან დამარცხდნენ



მსოფლიო ლიგის დასკვნითი მატჩი საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა იტალიასთან ჩაატარა და მინიმალური სხვაობით – 12:13 დამარცხდა.

ოლიმპიკის აუზში ჩატარებული მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა. მასპინძლებმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, სამი პერიოდი ფრედ დასრულდა, გადამწყვეტი უპირატესობა კი იტალიელებმა ბოლო მეოთხედში მოიპოვეს, რომელიც 3:2 მოიგეს და საბოლოოდ გამარჯვებაც იზეიმეს.

საქართველოს ნაკრებიდან გოლები ზურაბ რურუამ (3), მარკო ელაჩამ (3), დამირ ცრეპულიამ (2), ანდრია ბითაძემ (2) და მიხეილ ბაღათურიამ (2) გაიტანეს.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ლიგაში ოთხივე მატჩი დათმო და ჯგუფში ბოლო, მესამე პოზიცია დაიკავა, ჯგუფის გამარჯვებული კი იტალიის ნაკრები გახდა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ირაკლი რაზმაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი წულუკიანი, ბექა კაპანაძე.

# დორტმუნდმა მონაკოს უმასპინძლა, იუვემ ბარსას არასტუმართმოყვარეობა აჩვენა

ჩემპიონთა ლიგაზე დორტმუნდის ბორუსიას ფრანგული მონაკოსთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა აფეთქება და მატჩი გადაიდო.

აი, რა არის ცნობილი ამ წუთისთვის: მატჩისთვის მიმავალი დორტმუნდის ავტობუსის სიახლოვეს 3 აფეთქების ხმა გაისმა. პოლიციამ ეს ფაქტი დაადასტურა, მაგრამ სიტყვა ტერაქტი არსად უხსენებიათ. რაც მთავარია, დაღუპულები არ არის, დაშავებულია მხოლოდ დორტმუნდის ფეხბურთელი მარკ ბარტრა, რომელსაც ხელზე ოპერაცია გაუკეთდა და ყველაფერი წესრიგშია. უცნობია, ვინ და რატომ გააკეთა ეს.

ამ ცუდი ფაქტის გარდა, სასიამოვნო ისტორიებიც ბლომად მოხდა: მონაკოელთა 4 ფანს მიუახლოვდა დორტმუნდელი გულშემატკივარი და სახლში წასვლა შესთავაზა, სადაც პირსახოცს, კბილის ჯაგრისს, საჭმელსა და ლუდს დაჰპირდა. ეს მართლაც კარგი ჟესტი იყო, რადგან ფრანგული კლუბის მხარდასაჭერად გერმანიაში დაახლოებით 800 მონაკოს ფანი ჩავიდა, გადადებული შეხვედრის გამო კი მათ უმრავლესობას გარკვეული სახის პრობლემები შეექმნათ. როგორც გაირკვა, შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმარი გუნდის ფანების დიდი ნაწილი გვიან ღამით ან დილის რეისებით შინ ბრუნდებოდნენ, მატჩის ჩატარების თარიღის ცვლილების გამო კი ისინი ქუჩაში აღმოჩნდნენ.

საფრანგეთის საფეხბურთო კავშირმა მალევე გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც ისინი თითოეულ გულშემატკივარზე 90 ევროს სუბსიდირებას მოახდენდნენ, რაც მატჩამდე ღამის გასათევად და საკვების საყიდლად საკმარისი იქნებოდა.

ფრანგებს არც გერმანელები ჩამორჩნენ, დორტმუნდელებმა მალევე ააგორეს ინტერნეტკამპანია, სოციალურ ქსელებს სწრაფად მოედო ჰეშთეგი, რომლის მიხედვით დორტმუნდელები მონაკოს გულშემატკივრებს საკუთარ სახლებში ღამის უსასყიდლოდ გათევას და საკვების მიწოდებას სთავაზობდნენ.

აღნიშნულ კამპანიას მალევე მოყვა დადებითი შედეგები, დორტმუნდის ქუჩები ორენოვანი შეძახილებით გაერთიანდა, სახლების აივნებზე კი ბევრგან შენიშნავდით ერთად გადმოფენილ ორივე კლუბის ბანერებს, დროშებს და კაშნეებს.

სოციალურ ქსელში ფოტოებიც გავრცელდა. ფრანგების განცხადებით, განმეორებით შეხვედრაში უკვე მათ სურთ მასპინძლობა და ამ მეგობრობის სამუდამოდ გაგრძელება.

სოციალური ქსელით მონაკოს ერთ-ერთი გულშემატკივრის წერილიც გავრცელდა:

– ჯერ კიდევ ემოციებში ვარ... სიმართლე გითხრათ, ამ მოგზაურობის ბიუჯეტი ისე გავანაწილე, თამაშის დასრულების შემდეგ მოკრძალებული თანხით აეროპორტისკენ გამგზავრება და გამთენიით შინ დაბრუნება მქონდა გადაწყვეტილი, ტერორისტული აქტის გამო კი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

მინდა მადლობა გადავუხადო გერმანელ გულშემატკივარს, მათ საოცარი სულგრძელობა გამოიჩინეს, სრულიად უცხო ადამიანები საკუთარ სახლებში შეგვიფარეს, გემრიელი ვახშმით გაგვიმასპინძლდნენ და გვაგრძნობინეს, რომ სოლიდარობა ადამიანის ყველაზე დიდი და კარგი თვისებაა.

ისინი სამაგალითოები არიან, დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი მეტია, ვიდრე სპორტი. რასაც ტერორიზმი შლის და ანაწევრებს, ფეხბურთი აერთიანებს...

**იუვენტუსი-ბარსელონა 3:0**

**ტურინი.** იუვენტუს არენა

1:0, 2:0 დიბალა (7, 22), 3:0 კიელინი (55)



**იუვენტუსი:** ბუფონი, ალვესი, სანდრო, ბონუჩი, კიელინი, ხედირა (პიანიჩი 89), კუადრადო (ლემინა 73), იგუაინი, დიბალა (რინკონი 81), მანჯუკიჩი

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, მატიე (გომეში 46), უმტიტი, პიკე, მასკერანო, რაკიტიჩი, ინიესტა, სერხი რობერტო, მესი, ლ.სუარესი, ნეიმარი

ბევრი ელოდა ამ მატჩს დიდი ინტერესით და გაამართლა კიდეც. იტალიელ სპეციალისტთა უმრავლესობა თვლიდა, რომ მხოლოდ ტურინულ კლუბს შეუძლია შეაჩეროს ბარსელონა. ბევრისთვის ეს პატრიოტულ მოტივად იქნა მიჩნეული, მაგრამ თამაშმა დაამტკიცა, რომ იტალიელი ექსპერტები ფეხბურთში კარგად ერკვევიან.

იუვენტუსმა იდეალური მატჩი ჩაატარა და ყველა კომპონენტში დაჩაგრა ბარსელონა. სასიამოვნო საყურებელი იყო მასიმილიანო ალეგრის გუნდის სტრუქტურული თამაში. ისე ჩანდა, რომ ფეხბურთელებს მოედანზე ყალბი არაფერი გაუკეთებიათ. ცხადია, უშეცდომოდ არ უთამაშია და დაცვაში შეცდომები იყო, მაგრამ მისი გამოსწორება სწრაფადვე ხდებოდა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში ჩანდა, როდესაც „ბებერი ქალბატონის" მცველები დაიღალნენ. და მაინც, კარი მშრალად შეინახეს და ბარსელონაში ვიზიტის წინ მშვენიერი ჰანდიკაპი შეიქმნეს.

ტურინელებმა განსაკუთრებით მაგრად ჩაატარეს პირველი ტაიმი და პაულო დიბალას დუბლის წყალობით შესვენებას მშვენიერ ხასიათზე შეხვდნენ. ამას მეორე ორმოცდახუთწუთეულში ჯორჯო კიელინის მიერ გატანილი გოლი მოჰყვა. ალბათ იოლი მისახვედრია, რომ იტალიელთა მცველი კუთხურის შემდეგ გაიტანდა.

და ბარსელონა: მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა თამაში ჩააგდო. მართალია, კატალონიელები ისე ცუდად არ გამოიყურებოდნენ, როგორც მერვედფინალში პსჟ-ს წინააღმდეგ, მაგრამ ეს სულაც არ იქნება ქათინაური ლუის ენრიკეს გუნდის მიმართ. განსაკუთრებით ცუდად გამოიყურებოდა ნახევარდაცვა, სადაც გუნდს აშკარად აკლდა დისკვალიფიცირებული სერხიო ბუსკეტსი. პირველ ტაიმში საყრდენ ნახევარმცველის პოზიციაზე მოთამაშე ხავიერ მასკერანო საშინელი სანახავი იყო. აკი მეორე გოლიც მთლიანად მის სინდისზეა. თითქოს მოედანზე მდგომარეობა ანდრე გომეშის შესვლის შემდეგ გამოსწორდა, მაგრამ არც ეს ფეხბურთელი აკმაყოფილებს ბარსას დონეს.

ასეა თუ ისე, ბარსა კვლავ რთულ სიტუაციაში ჩავარდა. თუ მერვედფინალში კატალონიელებმა მოახერხეს და პსჟ-თან ამაზე უფრო დიდი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, ახლა უფრო ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ლუის ენრიკეს გუნდი კიდევ ერთ სასწაულ ქამბექს შემოგვთავაზებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი შემტევი სამეულით მთების გადადგმაც კი შეუძლია...

მოკლედ, მოუთმენლად ველით მატჩს „კამპ ნოუზე"...

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა როლს თამაშობს ასაკი შვილოსნობის უნარზე

ეკა ირემაშვილი

როგორც მედიკოსები ირწმუნებიან, ასაკი გადამწყვეტ როლს თამაშობს შვილოსნობის უნარზე. მიჩნეულია, რომ შვილოსნობისთვის ოპტიმალური ასაკი არის 20-დან 35 წლამდე პერიოდი.

რა როლს თამაშობს ასაკი შვილოსნობის უნარზე, რა მნიშვნელობა აქვს ასაკს ორსულობის მიმდინარეობაზე, აქვს თუ არა გავლენა ასაკს მამაკაცის შვილოსნობის ფუნქციაზე და როგორ არის შესაძლებელი ასაკთან დაკავშირებული უნაყოფობის თავიდან აცილება, ამ თემებზე კლინიკა „ინ ვიტროს" რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი ქეთევან კაკაშვილი საუბრობს.

**ქეთევან კაკაშვილი:**

– ქალის შვილოსნობის ფუნქციის შემცირების პროცესი მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად. ის შესამჩნევი ხდება უკვე 30 წლიდან, ხოლო 35-დან 40 წლამდე პერიოდში ჩქარდება ისე, რომ უკვე 45 წლისათვის შვილოსნობის ფუნქცია თითქმის ნულს უახლოვდება. სტატისტიკურად თუ ჯანმრთელი ქალის დაორსულების შანსი ერთი მენსტრუაციული ციკლის განმავლობაში 30 წლის ასაკისთვის 20%-ია, 40 წლის ასაკში ეს შანსი 5%-მდე მცირდება.

ასაკის მატებასთან ერთად დაორსულებისა და მშობიარობის სიხშირის შემცირების პირველი და უმთავრესი მიზეზი არის საკვერცხეში ფოლიკულური მარაგის ფიზიოლოგიური შემცირება. საკვერცხეებში ფოლიკულური აპარატი ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში ყალიბდება და იმ დროისთვის დაახლოებით 5-7 მილიონი ფოლიკულით არის წარმოდგენილი. სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის ეს რიცხვი მცირდება 300.000-400.000-მდე, 38-39 წლის ასაკში 25.000-მდე, ხოლო მენოპაუზისთვის საკვერცხეში ფოლიკულების მიზერული რაოდენობა რჩება. რაც აიხსნება იმით, რომ საშუალოდ ყოველ ციკლში 1 მომწიფებული ფოლიკულის პარალელურად დაახლოებით 500-დან 1000-მდე ფოლიკული განიცდის უკუგანვითარებას. გარდა ფიზიოლოგიური მიზეზისა, ფოლიკულური აპარატის შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საკვერცხეზე ქირურგიული ჩარევით, საკვერცხეების ნაადრევი განლევის სინდრომით, ქიმიოთერაპიით და ა.შ.

თუმცა, პრობლემა მხოლოდ ფოლიკულე-




ბის რაოდენობის შემცირებაში არ არის. ასაკის მატებასთან ერთად უარესდება კვერცხუჯრედის ხარისხიც, შესაბამისად მცირდება მისი განაყოფიერების სიხშირე, ემბრიონის განვითარების შემთხვევაში მისი იმპლანტაციის – საშვილოსნოს შიდა გარსზე ემბრიონის მიმაგრების სიხშირე და მატულობს ნაყოფის ქრომოსომული ანომალიების ალბათობა. უფრო კონკრეტულად, თუ 20 წლის ასაკში ნაყოფის ქრომოსომული ანომალიების სიხშირე 500-დან 1-ია, 45 წლის ასაკში ეს თანაფარდობა 20-დან 1-ია.

ზედა ასაკობრივი ჯგუფის ქალებში უნაყოფობის ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრება ასევე დაავადებები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში „აზიანებენ" რეპროდუქციულ სისტემას. მათ მიეკუთვნება მცირე მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები, ენდომეტრიოზი, მიომა, ოვულაციის პრობლემები...

მცირე მენჯის ღრუს ქრონიკულად მიმდინარე ინფექციებმა შესაძლოა გამოიწვიოს საშვილოსნოს მილების დახურვა, ენდომეტრიუმის – საშვილოსნოს შიდა შრეში, სადაც ხდება განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მიმაგრება – დაზიანება.

ენდომეტრიოზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკივნეული მენსტრუაცია, ყავისფერი გამონადენი მენსტრუაციამდე და ან მენსტრუაციის ბოლოს, იწვევს შეხორცებების წარმოქმნას მუცლის ღრუში, ხოლო ენდომეტრიოზული ცისტა ხელს უწყობს საკვერცხეში ფოლიკულების რაოდენობის შემცირებას, რომელიც განსაკუთრებით დრამატულ ხასიათს იღებს მისი ამოკვეთის შემთხვევაში. ოვულაციის პრობლემები ხელს უწყობს საკვერცხის ცისტების წარმოქმნას, პოლიცისტოზის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა მარტო მენსტრუაციული ციკლის დარღვევა, არამედ ესთეტიკური პრობლემებიც, როგორებიცაა აკნე – ჩირქოვანი გამონაყარი, ჰირსუტიზმი – ჭარბთმიანობა, ჭარბი წონა და ა.შ.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია დროულად დიაგნოზის დასმა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება. რისთვისაც მოწოდებულია პროფილაქტიკური გასინჯვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა მტკივნეული მენსტრუაცია, არარეგულარული მენსტრუაციული ციკლი, ჭარბთმიანობა, აკნე, წონის მატება ან მასის დეფიციტი, ტკივილი მუცლის ქვედა და წელის არეში და ა.შ. რომელიმე ზემოთ აღნიშნული სიმპტომის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან დროული ვიზიტი, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება როგორც უნაყოფობის სიხშირე, ასევე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა.

*– რა მნიშვნელობა აქვს ასაკს ორსულობის მიმდინარეობაზე?*

– სამწუხაროდ, 35 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის ქალებში დაორსულების შემთხვევაშიც მატულობს პრობლემები, როგორებიცაა თვითნებითი აბორტი – 35-39 წლის ქალებში თვითნებითი აბორტის რისკი შეადგენს 24%-ს, 40-44 წლის ქალებში – 51%-ს, საშვილოსნოს გარე ორსულობა, მკვდრადშობადობა, მთელი რიგი სამეანო – ნაადრევი მშობიარობა, გესტაციური დიაბეტი, პლაცენტის წინმდებარეობა, პლაცენტის ნაადრევი აცლა, ჰიპერტენზია, საკეისრო კვეთის აუცილებლობა და ახალშობილთა პრობლემები.

*– თუ აქვს გავლენა ასაკს მამაკაცის შვილოსნობის ფუნქციაზე?*

– ზოგადად მამაკაცების შვილოსნობის ფუნქცია ასაკთან პირდაპირ კავშირში არ არის, თუმცა არსებობს მონაცემები, რომ 40 წლის შემდეგ მცირდება მათი ფერტილობის ანუ შვილოსნობის უნარი, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, არის სისხლში ანდროგენების კონცენტრაციის შემცირება, სექსუალური აქტივობის დაქვეითება, სათესლე ჯირკვლების დაზიანება, სპერმის ხარისხის გაუარესება, სპერმატოზოიდების დნმ-ის ანომალია.

უნდა აღინიშოს, რომ თუ ქალი არის 35 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში და 6 თვის განმავლობაში დაუცველი, რეგულარული სქესობრივი ცხოვრების ფონზე არ მოხდა ორსულობა, უნდა მიმართოს ექიმს გამოკვლევისთვის. ვინაიდან საკვერცხეების რეზერვი ყველა ქალისთვის ინდივიდუალურია, ხორციელდება მისი შესწავლა და კონკრეტული პაციენტის რეპროდუქციული პოტენციალის პროგნოზირება, შესაბამისად მკურნალობის გეგმის შემუშავება.

35 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში უნაყოფობის კონსერვატიული მეთოდით მკურნალობის წარუმატებლობისას დროულად უნდა მოხდეს ინ-ვიტრო განაყოფიერების შეთავაზება, რათა არ დაიკარგოს დრო, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს პაციენტისთვის.

ხოლო 40 წლის ზემოთ ასაკის მქონე ქალებში მოცდითი ტაქტიკა გამართლებული არ არის და არჩევის მეთოდს ინ-ვიტრო განაყოფიერება წარმოადგენს საკუთარი ან დონორის კვერცხუჯრედით, საკვერცხის რეზერვის გათვალისწინებით.

იმისთვის, რომ ასაკთან დაკავშირებული უნაყოფობის თავიდან აცილება შეძლოთ, ერთ-ერთი გამოსავალი არის კვერცხუჯრედების გაყინვა. თუ ქალი არის 35 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში და სქესობრივ ცხოვრებას არ ეწევა, ან ქორწინებაში არ არის, მაგრამ მომავალში გეგმავს თავისი გენეტიკური შვილის ყოლას, ცივილურ სამყაროში, რადგან ზედა ასაკობრივ ჯგუფში საკვერცხეში ფოლიკულების რაოდენობა დრამატულად მცირდება, რეკომენდირებულია კვერცხუჯრედების დროული გაყინვა, რადგან შემდგომში ინ-ვიტრო განაყოფიერების წარმატება დამოკიდებულია ქალის ასაკზე, როდესაც განხორციელდა კვერცხუჯრედების გაყინვა.

ასაკთან დაკავშირებული უნაყოფობის პრევენციისთვის კი, საჭიროა მოსახლეობის ინფორმირებულობა, რომ შვილოსნობისთვის ოპტიმალური ასაკი არის 20-დან 35 წლამდე პერიოდი.

## კალეიდოსკოპი

## ბრიტანელმა საბჭოთა ტანკში ოქროს ზოდები იპოვა

კოლექციონერმა დიდი ბრიტანეთიდან ნიკ მიდმა საბჭოთა ტანკში ტ-54 ოქროს ზოდები აღმოაჩინა, რომელთა საერთო ღირებულებამ 2 მილიონი ფუნტ სტერლინგი (2,5 მილიონი დოლარი) შეადგინა.

55 წლის მიდმა ტანკი ინტერნეტ-აუქციონით 37 ათას დოლარად შეიძინა. ოქროს ზოდები კი მან საწვავის ავზში აღმოაჩინა, როდესაც მექანიკოს ტოდ ჩემბერლენთან ერთად შენაძენის დათვალიერებით იყო დაკავებული. კოლექციონერი ნაპოვნმა იმდენად გააოგნა, რომ პოლიცია გამოიძახა, რომელმაც ის ხელწერილით ჩამოართვა.



– თუ ოქროს უკან ვერ დავიბრუნებ, ჩემი შესანიშნავი ტანკი ხომ დამრჩება, – განაცხადა კოლექციონერმა.

მის მიერ შეძენილი ტ-54 ერაყის სამხედრო ძალებს ეკუთვნოდა და 1990-91 წლების სპარსეთის ყურის ომში მონაწილეობდა. მაშინ ტანკი ხელში ჩაუვარდა საერთაშორისო კოალიციის ჯარებს (დიდი ბრიტანეთი კოალიციაში შედიოდა) და ის გაერთიანებულ სამეფოში იქნა ჩამოტანილი.

მიდი ფიქრობს, რომ ოქრო ერაყელმა სამხედროებმა ქუვეითის საცავიდან გაიტაცეს და საწვავის ავზში დამალეს.

საბჭოთა კავშირმა 1959-68 წლებში ერაყს დაახლოებით 300 ტ-54 მიაწოდა, რომლებიც სპარსეთის ყურეს ომის გარდა, ასევე გამოყენებულ იქნა არაბეთ-ისრაელის 1973 წლის და ირან-ერაყის 1980-88 წლების ომებში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჯორჯ კლუნმა რემონტის გამო მეზობლები დროებით სასტუმროში დააბინავა



მსახიობმა ჯორჯ კლუნმა იმის გამო, რომ საკუთარ ბინაში, რომელიც ინგლისში ბერკშირის საგრაფოში დასახლება სონინგში მდებარეობს, რემონტს აკეთებს, თავისი მეზობლები დროებით სასტუმროში განათავსა.

კლუნმა ბინა 2014 წელს შეიძინა და მალე გრანდიოზული რეკონსტრუქცია წამოიწყო, მათ შორის 20-მეტრიანი აუზის და 12-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა. გარდა ამისა, თავის ნაკვეთში ათასამდე მოზრდილი ხე დარგო.

მას შემდეგ, რაც მეზობლებმა დაიჩივლეს სატვირთო მანქანების განუწყვეტელი მოძრაობისგან წარმოქმნილი მტვრისა და ჭუჭყის გამო, კინოვარსკვლავმა მათ დაუფინანსა ექვსი კვირის მანძილზე ფეშენებელურ სასტუმროში ცხოვრება, ერთკვირიანი დასვენება საბერძნეთის კუნძულ კორფუზე, ასევე კომპენსაციის სახით 30 ათასი ფუნტი სტერლინგი (37 ათასი დოლარი) გადაუხადა. გარდა ამისა, მან მეზობელ წყვილს რემონტის დასრულებამდე ბინის იჯარის ფული გადაუხადა და ახალი მტვერსასრუტიც შეუძინა.

## ასტროპროგნოზი

### 13 აპრილისათვის



**ვერძი** – დღეს უმთავრესია, შეინარჩუნოთ სულიერი წონასწორობა. ყოველგვარ ცდუნებას თავი აარიდეთ. **კურო** – დღის დევიზია კომპრომისი, გულისხმიერება, გულმოწყალება. ყოფითი პრობლემების მოგვარებაში მეგობრების იმედი იქონიეთ. **ტყუპები** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – ნერვული დაძაბულობა და ფიზიკური დატვირთვა, შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ლომი** – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. **ქალწული** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **სასწორი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. **მშვილდოსანი** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ.

Note: the ღრიანკალი entry appears between სასწორი and მშვილდოსანი: **ღრიანკალი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. უსირცხვილო, თავხედი ადამიანი; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ეკლესია; 12. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ინდიელთა ვიწრო, გრძელი ნავი; 16. კბილების დაავადება; 18. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფართოფარფლიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 8. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 11. ფილატელისტის ალბომი; 15. გულის ცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. პატეფონის ერთ-ერთი ნაირსახეობა; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. დიპლომატიური წარმომადგენელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კომბლე; 2. ბეკინა; 3. ღლიღვები; 4. დიზელი; 6. ჯინობილი; 8. დროება; 11. პაგანინი; 12. კონიაკი; 16. ქართუ; 17. ხომლი; 18. იპონი.

**თარაზულად**: 1. კანბერა; 5. სინჯი; 7. ალილუია; 9. ბაზიერი; 10. ვეროკიო; 13. ბამბუკი; 14. ნადალი; 15. ჟოქო; 19. ჟინვალი; 20. ხოზაფინი; 21. მურვანიძე; 22. ყინული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გობსეკი; 2. საფერავი; 3. ღაღადი; 4. საქსი; 5. ჯაბადარი; 8. ვერდიქტი; 12. როჭო; 13. არლეკინო; 14. იგუასუ; 16. მანიანი; 18. ჯაყვა; 20. გალო.

**თარაზულად**: 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 6. ვიტესი; 9. ნეიძე; 10. პასკვილი; 11. გემრიელი; 15. არმსტრონგი; 17. ჯოყოლა; 19. სინგაპური; 21. სინდიყი; 22. კონტრალტო; 23. კონკური.

# ზუკა პაპუაშვილი იმუქრება



რუსთაველის თეატრის მსახიობი ზუკა პაპუაშვილი იმუქრება და აფრთხილებს კულტურის მინისტრიდან დაწყებული, თეატრის დირექტორებით დამთავრებული ყველას, სანამ დრო აქვთ, გონს მოეგონ.

**ზუკა პაპუაშვილი:**

– კულტურის სამინისტროს, თეატრის მმართველებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს, დირექტორებს და ა.შ... ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით! გონს მოეგეთ, სანამ დრო გაქვთ, გამიფრთხილებიხართ!

# ზურა ყიფშიძე: „ზოგს ქამრის მოსაჭერი ადგილი აღარ აქვს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დიან და ამბობენ საჯაროდ, რომ ჩვენ ვფიქრობთ ასე. კონკრეტულად ვილაცაზე კი არ არის საუბარი, აქ საუბარია ყველაზე. მე შემიძლია დავჯდე და ამას ვუყურო, რადგან ვერაფრით დამაბრუნებთ უკან, მაგრამ ახალგაზრდები ცოდოები არიან, მათ წინ დიდი გზა აქვთ.

საწყენი იქნება, რომ ჩემი ახალგაზრდა კოლეგები ისევე იგრძნობენ თავს, როგორც მე, როცა ჩემხელები გახდებიან. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ უნდა გამოვიდნენ ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც და თქვან თავისი სატკივარი და სათქმელი.

როცა გიჭირს, შენ დაგეხმარებიან, ვილაცას პატივს სცემენ, მაგრამ სხვებმა რა ქნან? ის საჩუქარი, რომელსაც ვიღებთ, 3 თვე გაგვიჩერეს, მერე თქვეს, რომ იმ საჩუქარს დააკლდებაო, მერე უცბად გავიგეთ, რომ ისეთ მსახიობებს მოეჭრათ, შეიძლება დღეს სცენაზე არ გადიან, მაგრამ იმდენი დაიმსახურეს, რომ ხელფასი ჰქონდეთ. რომ დაუტოვებ მარტო პურის ფულს და მთელ ხელფასს წაართმევ, არ არის ლამაზი, რბილად რომ ვთქვათ. მათ უხდებათ 3-4 სამუშაოზე ერთად ყოფნა, ეს იქნება ტელევიზია, თეატრი თუ კინო, მარტო იმიტომ არა, რომ საინტერესოა სხვადასხვა ადამიანებთან მუშაობა, უბრალოდ სჭირდებათ ფული და ამიტომ იხევიან ათ ნაწილად, – განაცხადა ზურა ყიფშიძემ „რეაქციისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

# თამარ სხირტლაძე: „რატომ უნდა სტკენოდა გული გივი ბერიკაშვილს?!“




მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თამარ სხირტლაძე გივი ბერიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ ინფორმაციას ავრცელებს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი იყო. მსახიობის ინფორმაციით, გარდაცვალებამდე 2 კვირით ადრე, მის კოლეგას ხელფასი შეუმცირეს.

გივი ბერიკაშვილთან ერთად ხელფასები შეუმცირეს ლეო ანთაძეს, თენგიზ არჩვაძეს, თამარ სხირტლაძეს, ქეთევან კიკნაძეს და ნოდარ მგალობლიშვილს.

**თამარ სხირტლაძე:**

– გივი მოვიდა ჩემთან, ძალიან შეწუხებული იყო. მითხრა, ხელფასი მომიჭრეს, იმას ვტირივარ, ზურას რა ვუყო, ზურას ჰქონდა ჩემი სახელფასო ბარათი, ის იღებდა ჩემს ხელფასს, არ ვიცი, მოკვდება ალბათ მშიერიო. მაშინ ცოტა უხეშად მომივიდა და ვუთხარი, მაინცდამაინც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო, სხვისი ტკივილი რომ გაიგო-მეთქი. ეს იყო 2 კვირის წინ. მარტო ფულში ხომ არ არის საქმე. რატომ უნდა წასულიყო გივი ბერიკაშვილი ტკივილით?! ასეთი დიდი სიყვარულით სარგებლობდა, ზეიმი იყო, როცა სცენაზე გამოდიოდა, უყვარდა მაყურებელს და რატომ უნდა სტკენოდა გული გივის? ასეთი დიდი ტკივილით ამ ასაკში მსახიობი არ უნდა გაუშვა იმქვეყნად, – განაცხადა თამარ სხირტლაძემ „რეაქციაში“ სტუმრობისას.

# ნოდარ მგალობლიშვილმა მარჯანიშვილის თეატრი დატოვა



85 წლის მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა პროტესტის ნიშნად მარჯანიშვილის თეატრი დატოვა. ხელოვანმა ამ თეატრში 62 წელი გაატარა. ნოდარ მგალობლიშვილი 23 წლის იყო, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში მივიდა და ამ დრომდე მისი დასის წევრი იყო.

მსახიობს თავისი პრინციპები აქვს, რომლებსაც არასოდეს ღალატობს. მან 2001 წელს ღირსების ორდენის მიღებაზე უარი განაცხადა და საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს უკან გაუგზავნა. ამის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ არ სურდა ღირსების ორდენი ისეთი რეჟიმის მხრიდან, რომელმაც მას ღირსება წაართვა და აიძულა, უკიდურეს გაჭირვებაში ეცხოვრა.

ინფორმაცია ნოდარ მგალობლიშვილის თეატრიდან წასვლის შესახებ მისმა კოლეგამ თამარ სხირტლაძემ გაავრცელა. მისი განმარტებით, მსახიობის პროტესტის მიზეზი ხელფასის 240 ლარამდე შემცირება გახდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ჯემალ და გია ბაღაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ბერიკაშვილი**





შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გივი ბერიკაშვილი**

„იუმორინას“ შემოქმედებითი ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გივი ბერიკაშვილი**



კომპანია „გურჯაანის ნაყინის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თეატრისა და კინოს მსახიობის, კომპანია „გურჯაანის ნაყინის“ დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის

**გივი ბერიკაშვილის**

გარდაცვალების გამო. იგი განსაკუთრებული, გამორჩეული და შეუდარებელი პიროვნება და დიდი ადამიანური თვისებებით დაჯილდოვებული ადამიანი იყო, ღმერთმა დაუმკვიდროს მას ცათა სასუფეველი.

*კომპანია „გურჯაანის ნაყინის“ სახელით, სამძიმარს უცხადებენ გივი ბერიკაშვილის ოჯახს გურამ ბერიკაშვილი, ჰამლეტ ყაზარაშვილი, ვანო გარსევანიშვილი, ნუკრი ღვინიაშვილი, ვიტალი ადამიძე, ნუკრი ბახლიშვილი*

გარდაიცვალა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, ქვეყნისა და ერის წინაშე ვალდმოხდილი, ხალხსა და ქვეყანაზე შეყვარებული, მუდამ ხალისიანი, საზოგადოებასთან ყოველთვის სასიამოვნო ურთიერთობის მატარებელი, მამაპაპური ტრადიციების დამცველი, ნამდვილი გურჯაანელი

**გივი ბერიკაშვილი**

საზოგადოება გურჯაანის სახელით სამძიმარს უცხადებენ გივი ბერიკაშვილის ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

*თ.აბელაშვილი, დ.სონღულაშვილი, რ. გილიგაშვილი, ბ.სონღულაშვილი, გ.მაჩხაშვილი, გ.ბერიკაშვილი, გ.ამისულაშვილი, შ.ამისულაშვილი, დ.ამისულაშვილი, ტ.ბერიკაშვილი, ა.ბერიკაშვილი, რ.ბერიკაშვილი, დ.ბერიკაშვილი, ვ.გარსევანიშვილი, ვ.ვერულაშვილი, ნ.კვეზერელი, ვ.კვეზერელი, ე.მღებრიშვილი, თ.მაისურაძე, ნ.ნიკოლაშვილი, ჰ.ყაზარაშვილი, თ.შავლიაშვილი, გ.ჩეკურიშვილი*

# გივი ბერიკაშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეული მსახიობი გივი ბერიკაშვილი. მას არაერთი დასამახსოვრებელი როლისთვის მიღებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, რუსთაველის სახელობის პრემია, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემია, წლის საუკეთესო მამაკაცის პრემია.

ეკრანისა და სცენის ღიმილი – ასე უწოდებდნენ გივი ბერიკაშვილს არა მარტო მისი როლების, არამედ განუმეორებელი პიროვნული ხიბლის გამოც.

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დაიწყო 1956 წელს, მას მერე, რაც საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ იყო რუსთავის დრამატული თეატრის და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი. მან ასევე 40-ზე მეტ ფილმში ითამაშა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული კინოსა და თეატრის განვითარებაში.

ამიერიდან ის თავის ოჯახთან ერთად დააკლდება ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული კინო და სცენა.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 13 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** **ფეხბურთში** 19 წლევანდელთა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**გზა**" (ჯ.მაზინა)

**08.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ალშფოთდით" **11.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "სუფრაჟისტები" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მშვიდობით გარი**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** ს დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.40** გალფის გათამაშება **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**შიდა გამოძიება**" **02.15** მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**" **04.05** მხ/ფ "**შეცვლილი გზები**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **23.30** მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**აღქმა**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**მეხუთე ხელისუფლება**" **00.55** მხ/ფ "**საქვაბე**"

**06.15** სჯანი-ქრისტიანული დღესასწაულების პაგანიზაცია **06.40** პატერიკი **06.45** დ/ფ "საუკუნის პორტრეტები მიხეილ თუმანიშვილი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ჯიმ შვანთე-მარილი სვანებს" **10.50** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** ვნების კვირა წმინდა მიწაზე 4 ნაწ. **12.45** მოკ. მხ/ფ "**უსახელო უფლისციხელი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" **15.05** ვნების კვირის ხუთშაბათი-ზიარების შესახებ **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე საეკლესიო მხატვრობა" **1 16.30** დიდი ხუთშაბათი-მამა მაქსიმე **17.35** კვირიაკის სიუჟეტი-წმინდა მიწაზე **4** ნაწ. **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** საეკლესიო კალენდარი **19.00** სიახლენი **19.20** დ/ფ "ფშავ-ხევსურეთი" III **19.40** პორტრეტები **20.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული-ხუთშაბათი **20.40** ძილი ნებისა "ზაქარიას და ელისაბედის სიხარული **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ისტორიანი "წმინდა ქეთევან წამებული" **21.40** დიდ ხარ შენ უფალო "მეფე საული" **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ყინწვისი" **00.30** დ/ფ "ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვლ" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4097 | ევრო — 2.5579 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9938 | 100 რუსული რუბლი — 4.2322 |

## ამინდის პროგნოზი 13 აპრილისთვის





## 11 აპრილიდან

# ბერძნული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 12 აპრილიდან




ლიონ ფოიხტვანგერი

# გოია

ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 24–ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ზურა ყიფშიძე: „ზოგს ქამრის მოსაჭერი ადგილი აღარ აქვს“



მსახიობი ზურა ყიფშიძე თეატრებისთვის ბიუჯეტის შემცირებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ მსახიობებს ისედაც შემოჭერილი აქვთ ქამრები და მეტი მოსაჭერი ადგილი აღარ აქვთ.

**ზურა ყიფშიძე:**

– რომ ამბობენ, დიდი მსახიობები არიანო, ვინ დაადგინა ეს? ისეთი დიდი მსახიობები გვყავდა, ჩვენ იმათი ნახევარიც არ ვართ და ისინი არ იყვნენ დაფასებულები.

– მოიჭირეთ ქამრები – ძალიან საინტერესო ნათქვამია. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია – ყველანი ვიჭერთ თუ არა ამ ქამრებს. კი ბატონო, მოვიჭერთ, მაგრამ თუ ყველა მოიჭერს და გააჩნია რამდენს მოიჭერს. ზოგს მოსაჭერი ადგილი აქვს, ზოგს – არა. ალბათ ეს უნდა გავითვალისწინოთ. რა თქმა უნდა, ყველას გვაღელვებს ჩვენი საქმე და იმ საქმის გარშემო რაც ხდება. ამ შემთხვევაში უჭირთ ადამიანებს და პროტესტს აცხადებენ, გამო-


**გაგრძელება მე-11 გვერდზე**


## მიხეილ გიორგაძე ხელოვანების ბრალდებებს პასუხობს



კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ხელოვანების ბრალდებებს პასუხობს:

– მსახიობების ხელფასების შემცირება არ მომხდარა ყველა თეატრში. თუ როგორ გაუმკლავდებოდნენ თეატრები წლიური ბიუჯეტის 10%-იან შემცირებას, ეს თვითონ ხელმძღვანელის პრეროგატივა და ინდივიდუალური გადასაწყვეტი იყო. ზოგმა ეს პრობლემა გადაწყვიტა ადმინისტრაციული, ან სხვადასხვა ხარჯების შემცირების მეშვეობით და ხელფასები არ შეუმცირა მსახიობებს. ზოგმა შეუმცირა იმ მსახიობებს, ვინც ნაკლებად, ან საერთოდ არ იყვნენ დაკავებული სპექტაკლებში. ზოგან იყო გადაწყვეტილება, ყველასთვის ერთნაირად 10%-ით შემცირების თაობაზე. ეს იყო თითოეული ხელმძღვანელის გადაწყვეტილება. იმ ბიუჯეტის პირობებში, რა ბიუჯეტიც თეატრებს აქვთ, ალბათ, თავად თეატრის ხელმძღვანელების ვალდებულება და პასუხისმგებლობაა, მოიძიონ ალტერნატიული დაფინანსების წყაროები და ამის შესაძლებლობას სწორედ კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს, თუმცა ძალიან სამწუხაროა, რომ თეატრების ხელმძღვანელები, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ მიმართულებით არაფერს აკეთებენ და მხოლოდ ბიუჯეტიდან ელოდებიან საკუთარი ბიუჯეტის გაზრდას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი



ცოლი ქმარს ეუბნება:

– აი ნახე, სულაც არ გავსუქებულვარ! ეს, როგორც რვა წლის წინ, ახლაც ისევე მაქვს!

– იმიტომ, რომ ეს „შარფია“, „შარფი“!

●●●

ორი ადვოკატი რესტორანში ზის. შეკამათდნენ. სიმართლის გასარკვევად ოფიციანტს უხმეს და სთხოვეს, მათთვის სისხლის სამართლის კოდექსი მოეტანა, თუ ის მათ ადმინისტრატორს ექნებოდა.

ოფიციანტი წავიდა, მალე დაბრუნდა და ეუბნებათ:

– ადმინისტრატორმა მთხოვა გადმოგცეთ, რომ თქვენი სადილის ფული გადახდილია.

●●●

ოფიციანტი კლიენტს მიმართავს:

– როგორ ბედავთ ჩემთვის ასე მომართვას? სხვათა შორის, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და უნივერსიტეტის ორი წითელი დიპლომიც მაქვს!

– ეგ იმის უფლებას არ გაძლევთ, რომ ჩემ მიერ შეკვეთილი მწვადის ნაცვლად, რომელშიც ფული წინასწარ გადავიხადე, შემწვარი კარტოფილი მომიტანოთ!

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, როდესაც ჩემ შიშველ ცოლს ვუყურებ ყოველთვის ჩემი მეზობელი გივი მახსენდება...

– ჰოო, თქვენ აშკარად ჰომოსექსუალიზმის ნიშნები გაქვთ!

– არა, ექიმო, უბრალოდ, ის ყოველთვის მეუბნებოდა: – რა ჯანდაბად მოგყავს ცოლად ეს ცელულიტის უკანალიანი ფიცარიო.

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითქოს ვიღაცა ჩემი არყოფნის დროს ჩემი კომპიუტერით სარგებლობს...

– და ის რა ქაღალდი გაქვს მიკრული შენი კომპიუტერის მონიტორზე?

– კომპიუტერის პაროლია.

●●●

დირექტორს ახალი მდივანის აყვანა სურს და გასაუბრებაზე გოგონას ეკითხება:

– ეწევით?

– დიახ, მხოლოდ სექსის შემდეგ.

– და თქვენ ადრინდელ სამუშაოზე რამდენად იყავით დატვირთული?

– დღეში ორ კოლოფს ვეწეოდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ლუის ენრიკე: „ბარსელონას ნახევარფინალში გასვლის შანსები მაინც აქვს“



ბარსელონას მწვრთნელმა ლუის ენრიკემ იუვენტუსთან გამანადგურებელი ანგარიშით წაგების შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს შეუძლია საკუთარ მოედანზე 4 გოლის გატანა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა.

– ტურინში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და დამსახურებულად წავაგეთ, თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ იღბალი ჩვენს მხარეზე არ იყო. განმეორებით შეხვედრაში 4 გოლის გატანა შეგვიძლია. მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების, რომ ისინი ნოუ კამპზე სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებენ, – განაცხადა ლუის ენრიკემ.

ბარსელონამ ტურინში 0:3 წააგო და კატალონიელებს კიდევ ერთი სასწაული დასჭირდებათ იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდნენ.

## ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტრავმა მიიღო



საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტრავმა მიიღო, რის გამოც მან უარი თქვა მაროკოში მიმდინარე ტურნირში ასპარეზობაზე.

ბასილაშვილმა ტრავმა ვარჯიშზე მიიღო და გადაწყვიტა, რომ ჩოგბურთისგან მცირე ხნით პაუზა აიღოს. ნიკა უკვე მაროკოში იყო და პირველი მატჩისთვის ემზადებოდა, თუმცა მას გეგმები შეეცვალა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენად სერიოზულია ბასილაშვილის ტრავმა.

შეგახსენებთ, რომ ნიკამ დევისის თასის შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა, სადაც საქართველო ლიტვას დაუპირისპირდა. ბასილაშვილმა თავისი ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ საქართველოს ნაკრები საბოლოო ჯამში მაინც დამარცხდა.

## მარკ ბარტრას მდგომარეობა სტაბილურია



დორტმუნდის ბორუსიის ესპანელი მცველი მარკ ბარტრა ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება, რადგან მან აფეთქების შედეგად ხელზე დაზიანება მიიღო. აფეთქებები სამშაბათს მოხდა, დორტმუნდელების ავტობუსის ახლოს და აფეთქების შედეგად მხოლოდ მარკ ბარტრა დაშავდა.

ბარტრას მამამ განაცხადა, რომ მისი შვილის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია და ბარტრა საავადმყოფოში კიდევ რამდენიმე დღეს გაატარებს.

ბარტრა ბორუსიაში 2016 წლის ზაფხულში გადავიდა და გუნდში პირველ სეზონს ატარებს.

## სტივერ ჯერარდმა ჟერემი მატიო გააკრიტიკა



ლივერპულის ყოფილმა ლეგენდამ სტივერ ჯერარდმა, რომელიც ამჟამად ინგლისის ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, ბარსელონას ფრანგი მცველი ჟერემი მატიო გააკრიტიკა.

ჯერარდის თქმით, მატიო არ იმსახურებს იმას, რომ ბარსელონას ფორმა ეცვას, რადგან ის ბარსელონას დონის ფეხბურთელი არ არის. გარდა ამისა, ჯერარდმა აღნიშნა, რომ ბარსელონას სუსტი ნახევარდაცვა ჰყავს და რამდენიმე ფეხბურთელი ვერ აკმაყოფილებს კატალონიური გუნდის მოთხოვნებს.

ჯერარდის აზრით, ბარსელონას ახალი ფეხბურთელები სჭირდება, რომლებიც ამ გუნდის მაღალ დონეს სრულიად დააკმაყოფილებენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 11. ებრაული სამლოცველო; 12. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჰერმეტულ ჭურჭელში; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმთა კალენდარი; 18. ბანქოს თამაშების ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 1. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 5. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფე; 7. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 9. ხეხილის ბაღი; 10. კვერცხისგულით, წებოთი და ზეთით მომზადებული სახატავი საღებავი; 13. ძვლის მაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება, დასახლება ისრაელში; 15. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი